პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—10

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადებები—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 273 სამშაბათი, 28 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 273

დღიური

კუნოს დეკლარაცია.

გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესზე გამოცხადდა 841 დელეგატი. კონგრესის მიზანია მოაწყოს კოალიცია მუშათა მთავრობის სასარგებლოდ.

ინგლისის თემთა პალატაში კომუნისტმა ნიულანდმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა.

ვარშავაში დაიწყო 29 კომუნისტის პროცესი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიისაგან

საორგანიზაციო კომისია წინადადებას აძლევს ყველა საარჩევნო კომისიებს და იმ ქალაქების აღმასკომებს, რომელთაც ეყოლებათ ყრილობაზე თავიანთი წარმომადგენლები, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ამიერ-კავკასიის ყრილობის დელეგატები ჩავიდნენ ბაქოში არა უგვიანეს 9 დეკემბრისა.

საორგანიზაციო კომისია: ელიავა, იაკუბოვი.

საქ. კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და სამაზრო ყრილობათა კომპანიის ჩასატარებლად საქართველოში, ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ მობილიზაციით გაწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

ორჯონიკიძე ს., მახარაძე ფ., ორახელაშვილი მ., სტურუა ვანო, ელიავა შ., ტოროშელიძე მ., ლომინაძე, კახიანი, ყურულოვი, გეგეჭკორი, ქოქიაშვილი, ვაშაკიძე ვალ., კოჩეტკოვი, ივანოვ-კავკაზსკი და რუბენი.

საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტეტ. მდივანი და აგიტ. პროპ. გამგე **მიხ. კახიანი.**

ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე,
ალმასკომის ბინაზე
შესდგება
განათლების, შრომის და გლეხთა ინსპექციის და საფინ. მეურნ. სექციების
სხდომები
ყველა ამხანაგები ჩაწერილნი აღნიშნულ სექციებში ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თავის დროზე.
კრ. 647—2—1 მდივანი **ხუნდაძე**

ქალაქების აღწერისათვის

ამა ნოემბრის 30-ს დაიწყება სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა. საქართველოში ეს იქნება ქალაქების მცხოვრებთა პირველი ნამდვილი აღწერა. ვამბობთ: პირველი ნამდვილი, ვინაიდან ძველი რეჟიმების დროს მოხდენილი აღწერები ოდნავადაც არ იყო წარმოებული მეცნიერული სტატისტიკის მოთხოვნათა მიხედვით, ატარებდა ცალმხრივ და უაღრესად ტენდენციურ ხასიათს, მასში სრულიად უყურადღებოდ იყო დატოვებული მრავალი მნიშვნელოვანი მხარე ჩვენი ცხოვრებისა. სტატისტიკის საშუალებით ცხოვრების უტყუარი სურათის გადაშლა არც შედიოდა ყოფილ ხელისუფალთა ანგარიშში, ვინაიდან ციფრებში გამოხატული ჩვენი ცხოვრების მდგომარეობა იქნებოდა მეტისმეტყველი საბრალმდებლო ოქმი ძველი რეჟიმისათვის: ის საჯაროდ დაანახვებდა ყველას, თუ რა დუხჭირი იყო ჩვენი სინამდვილე მისი პოლიტიკის წყალობით, თუ როგორ არ აქცევდა ის არავითარ ყურადღებას ხალხის არსებითი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც კი. მეორე მხრივ, დამხობილი ხელისუფლებისთვის არც წარმოადგენდა საჭიროებას ნამდვილი სტატისტიკური მასალების მიღება, რომლის მიხედვით მხოლოდ შესაძლებელი იყო აუცილებელი ღონისძიებათა გატარება მასსის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რადგან ასეთი ამოცანას ისინი, რა თქმა უნდა, არც ისახავდნენ. ხოლო რაც შეეხება გაბატონებულ კლასების მდგომარეობას, უსტატისტიკოდაც ცხადი იყო, თუ რა პრივილეგიურ პირობებში იმყოფებოდნენ ისინი, და მეფის და მენშევიკური მთავრობები მათ არ აკლებდნენ ზრუნვას და დაცვას.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება საბჭოთა ხელისუფლების დროს.

საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს გეგმაშეწონილი მუშაობა მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მის საამისო მოღვაწეობას აქვს არა შემთხვევითი, არამედ სისტემის ხასიათი, წინასწარ გამოშვებული გეგმის მიხედვით. მაგრამ ამ მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის, სხვათაშორის, აუცილებელია ერთი წინასწარი პირობა: სრული და უტყუარი ცოდნა იმის, რაც არის არსებული მდგომარეობის, ცოდნა ჩვენი საჭიროებათა, რათა ამ მასალაზე დამყარებით გადავდგათ საჭირო ნაბიჯები, მივაქციოთ მთავარი ყურადღება ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ ადგილებს, დავსახოთ როგორც მორიგი, ისე მერმინდელი მუშაობის პერსპექტივები და მეთოდები. ხოლო თუ ცოდნა არ გვექნება, თუ არსებულ სინამდვილეს ვერ გავეცანით რიგიანად, ვერც მოქმედების რაციონალურ გეგმას შევადგენთ, ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა ექნება შემთხვევითი ხასიათი, და შეცდომებს ვერ ავიცდენთ თავიდან.

და აი, სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა ჯერ ჯერობით ქალაქების აღწერა რომელსაც შემდეგ მოჰყვება სასოფლო სამეურნეო აღწერაც. ამგვარად, მომავალ აღწერას, გარდა წმინდა თეორიულ ინტერესისა თავის თავად, ექნება უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენი მომავალი აღმშენებლობითი საქმისათვის.

თუ გვინდა წარმატებით ვებრძოლოთ ჩვენს მთავარ მტერს—ხალხის სიბნელეს, უსწავლელობას, უნდა ვიცოდეთ სად რამდენია უცოდინარი, რამდენი ბავშვია სკოლის გარეშე დარჩენილი, რამდენი სკოლის გახსნაა ამა თუ იმ რაიონში საჭირო და რომელ ენაზე, მცხოვრებთა ეროვნების მიხედვით.

თუ გვსურს მოვაწესრიგოთ ბინის საქმე, რასაც ასე მწვავე ხასიათი აქვს ქალაქებში, დაწვრილებით უნდა გამოვარკვიოთ მოქალაქეთა და კერძოდ მუშების საბინაო პირობები. თუ გვინდა შევქმნათ მეურნეობის და სანიტარიის ნორმალური პირობები, ჩავაყენოთ მუშების ცხოვრება კარგ ჰიგიენურ-სანიტარულ მდგომარეობაში და ავადმყოფობის შემთხვევაში მათი საექიმო მოვლა პატრონობა ჯეროვანად მოვაწყოთ, უნდა გვქონდეს ხელთ საამისოდ უტყუარი მასალები.

რომელი დარგიც გინდათ ჩვენი ცხოვრებისა, საჭირო ღონისძიებათა გატარება მშრომელთა საკეთილდღეოდ, შეუძლებელია, თუ წინასწარ არ გვეცოდინება საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

ყოველმხრივი აღნუსხვა არსებული სინამდვილის შეადგენს სტატისტიკის საგანს. ჩვენში დღემდე სტატისტიკას ოდნავადაც არ ექცეოდა ის ყურადღება, რომელიც მას უნდა ეკუთვნოდეს.

საბჭოთა ხელისუფლება პირველი აყენებს საქართველოში სტატისტიკას მკვიდრ ნიადაგზე ქალაქების მომავალი აღწერა ამ მხრივ პირველი და უდიდესი ნაბიჯია ამ აღწერამ, როგორც სარკეში, უნდა წარმოგვიდგინოს ჩვენი ქალაქების მდგომარეობა, მათი განვითარების ტენდენციები

ძნელია და რთული ეს საქმე. წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა კარგა ხანია წარმოებს. მაგრამ მარტო საბჭოთა სათანადო ორგანოები ვერ შესძლებენ აღწერის სისრულით ჩატარებას, თუ თვით მცხოვრებთა მხრით არ იქნება თანაგრძნობა და აქტიური დახმარება.

ყოველი მოქალაქე, მით უმეტეს ყოველი მუშა, ვალდებულნი არიან შესაძლებელი დახმარება აღმოუჩინონ ხელისუფლებას ამ საქმეში, მიაწოდონ აღწერის ჩამტარებელთ მოთხოვნილი ცნობები მთელი სინამდვილით და გაუადვილონ მათ დაკისრებულ მოვალეობათა ასრულება.

„სპარტაკი“

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება ფრიად საყურადღებო დებულება. კარგა ხანია მომწიფდა პირობები, დაგროვდა საკმაო მასალები, რომ ეს დადგენილება უფრო ადრე გამოტანილიყო, ეს საჭირო ნაბიჯი ბევრათ ადრე გადადგმულიყო. ს. სახ. კომ. საბჭო, სცნობს რა სპორტიულ საზოგადოებებს: „შევარდენის“, „სკაუტის“ და „სოკოლის“ მოქმედებას, არა შესაფერისათ საბჭოთა სახელმწიფოს მიზნების და ამოცანებისათვის, ადგენს: საზოგადოებანი „შევარდენი“, „სკაუტი“ და „სოკოლი“ დაშლილ იქნან ყველგან საქართველოში და შედგეს საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ყველა კომიტეტებთან ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით სპორტული საზოგადოება—„სპარტაკი“.

რას ნიშნავს ეს?—ეს ნიშნავს მას, რომ, საბჭოთა ხელისუფლება ანვითარებს შეტევას პოლიტიკურ ფრონტზე, ამსხვრევს როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ, სომხურ და სხვათა შოვინიზმის ბუდეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პირველი საზოგადოება, რამდენათაც ის, როგორც რიცხვობრივათ, აგრეთვე გავლენითაც, ბევრათ სჭარბობს უკანასკნელ ორ სპორტიულ საზოგადოებას. რას წარმოადგენდა „შევარდენი“ საქართველოში? ეს იყო დასავლეთ ევროპის და კერძოთ ჩეხიის ნამდვილ შოვინისტურ ბურჟუაზიულ სპორტ-საზოგადოების ტიპზე აგებული ორგანიზაცია, ე. ი. ისეთი, როგორიც მიუღებელია საბჭოთა ხელისუფლებისთვის, დაუშვებელია მშრომელთა სახელმწიფოში.

„შევარდენი“ იყო მხოლოდ ქართველ ბურჟუაზიული ინტელიგენციის, მოწაფეთა „გამაჯანსაღებელი“ ორგანიზაცია, მასში სულ უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენდა **მუშათა** ახალგაზრდობა, მისთვის კარები „შევარდენში“ დაკეტილი იყო იმ პირობების გამო რომელიც იქ არსებობდა. „შევარდენი“ იყო ის ორგანიზაცია რომელიც რყვნიდა, სწამლავდა ჩვენი ქვეყნის ნორჩ თაობის საღ გონებას, ფაქიზ სულს, „შევარდენი“ იყო საშუალება არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ბავშვთა დემონსტრაციების მოსაწყობათ, შოვინისტური გულის წყრომის გამოსათქმელათ. ოფიციალური სტატისტიკა „შევარდენის“ მთავარ სამმართველოსი გვარწმუნებს იმაში, რომ ეს საზოგადოება განსაკუთრებით საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გაიზარდა რიცხობრივათ მოზრდილი, 18—22 წლიანებით, რომლებიც განსაზღვრული პოლიტიკურ მოღვაწეობის მიზნით შემოვიდა იქ. ამის დამამტკიცებელია მთელი ის მუშაობა, რომელიც მათ მიერ იქნა გაჩაღებული. თვით გარეგნულადაც პოულობდა გამოხატულებას ეს აზრი „შევარდენის“ წევრების ნიშნებში და სამფეროვან ტანისამოსში. „შევარდენს“ მოექცა სათავეში მთელი რიგი ნაციონალისტურ მოღვაწეებისა, რომლებიც „უსასყიდლოთ“ ემსახურებოდენ თავიანთ წმინდა მიზანს. „შევარდენი“ გახდა საქართველოს ცნობილ „პარიტეტულ კომიტეტის“ ერთი იარაღთაგანი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველათ, ის თანდათანობით „სპორტიულიდან“ იქცა პოლიტიკურ ორგანიზაციათ და მასთან, ორგანიზაციათ გარკვეული მიზნით.

საქართველოს მუშათა ახალგაზრდობისთვის და მის მეთაურ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირისთვის ეს შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა რამოდენიმე თვეა რაც „შევარდენმა“ საქმით გამოამჟღავნა თავისი ჭეშმარიტი სახე. მუშათა ახალგაზრდობა, როგორც ქალაქთ, ისე სოფლათ, გამოსთქვამდა და გამოსთქვამს უკმაყოფილებას „შევარდენის“ დღევანდელი ფორმით არსებობის წინააღმდეგ. მას არა ერთხელ გამოუტანია რეზოლუციები, რომელშიაც მოითხოვს „შევარდენის“ ისეთ რეორგანიზაციას, რომელიც მისცემდა მას ფიზიკურ გაჯანსაღების საშუალებას.

კომუნისტური კავშირი ხომ ყოველ წუთს ამ კითხვას აწყობდა. პროვინციებში ამ საზოგადოების მუშაობამ უაღრესი აღშფოთება გამოიწვია კავშირის მხრივ, და კატეგორიულათ მოითხოვდენ და მოითხოვენ მის დაშლას და ახალ სპორტიული საზოგადოების შექმნას, რომელიც იქნებოდა დაინტერესებული მხოლოდ სპორტით და არა კონტრ რევოლიუციონური „საქმიანობით“.

ხმა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობისა არ დარჩა უყურადღებოთ, მან მიაღწია უმაღლეს ხელისუფლებამდი და გადამწყვეტი ნაბიჯიც გადადგმული იქნა.

ნაცვლათ „შევარდენის“ „სოკოლის“ და „სკაუტისა“ არსდება სპორტიული ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეს იქნება ინტერნაციონალური სპორტიული ორგანიზაცია, რომელიც მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს ბავშვთა მოძრაობას საქართველოში. მასში მიიღებიან მოზარდნი მხოლოდ 16 წლამდის. ამ ჰასაკამდის ბავშვი დიდი ყურადღების ღირსია ბავშვის ფსიხოლოგია ამ პერიოდამდე გადის ერთგვარ სკოლას, რომელიც იმუშავებს მასში გარკვეულ მისწრაფებებს. მისი გრძნობები ამ ჰასაკამდის ძალზე ფაქიზია და მას ადვილათ იპყრობს ის, ვინც თავიდანვე გახდება მისი ხელმძღვანელი, მისი მასწავლებელი.

ბურჟუაზიული კლასები უაღრეს ყურადღებას ბავშვებს სწორეთ ამ პერიოდში აქცევენ. ბურჟუაზიული საზოგადოება თავის გახრწნილ ზნეობას ამ მომენტში უნერგავს ნორჩ თაობას, სარგებლობს რა ბავშვის სუსტი ნებით, ამოქმედებს ისე როგორც ეს მისთვის საჭიროა. სხვა და სხვა გვარი სპორტიული საზოგადოებანი, გასართობები, სკოლა, ლიტერატურა, კინო და სხვა საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევათ. ასეა ბურჟუაზიის ბატონობის, მჩაგვრელ კლასების ხელისუფლების პირობებში. როგორ უნდა მოეწყოს საქმე საბჭოთა სახელმწიფოში? საბჭოთა ხელისუფლება, ეს მუშების და ღარიბი გლეხების მისწრაფებათა გამომხატველია. მას არა აქვს არაფერი საერთო იმ მიზნებთან, რომლებსაც ისახავს ბურჟუაზიული სახელმწიფო.

ამიტომ სულ სხვა გვარათ უნდა გადაიჭრას მოზარდი თაობის აღზრდის კითხვაც საბჭოთა რესპუბლიკაში. ვერავინ ვერ უარყოფს მას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე მეტად სწორედ ბავშვებს, მოზარდ თაობას, მომავალს, აქცევს უდიდეს ყურადღებას. მრავალი საბავშო ბაღები, თავშესაფარნი და სხვა ამტკიცებს ამას. მაგრამ აქამდე საქართველოში ბავშვთა მოძრაობა მაინც ვერ არის სასურველად მოწყობილი. ბავშვებზე მზრუნველობას მასსიური სახე არ აქვს მიღებული, ბავშვები ჯერ კიდევ მოწინააღმდეგეთა ხელშია. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ბავშვებს შველა სჭირია, აუცილებელია მათი აღზრდა განათლება საბჭოთა პრინციპების, მშრომელთა იდეალების მიხედვით. ეს უნდა იკისროს „სპარტაკმა“, ახალმა სპორტიულმა საზოგადოებამ. მან უნდა გაამართლოს ჩვენი იმედები.

„სპარტაკით“ უნდა შეიქნეს საქართველოში ბავშვთა ნამდვილი მოძრაობა. მოზარდი თაობის აღზრდა მტკიცე და საიმედო ნიადაგზე უნდა დადგეს. ეს უნდა შევსძლოთ ჩვენ.

„სპარტაკი“ ეს დიდი სიტყვაა. ის პირველი სახელწოდებაა გერმანიის სახელოვანი კომუნისტურ პარტიის და საქ. ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის. ამ სიტყვით გამოიხატება მთელი პროგრამა მოქმედების. და საქართველოს ახალი სპორტიული საზოგადოება უნდა გახდეს ამ სახელწოდების ტარების ღირსი. „სპარტაკმა“ ყველგან გაამართლა იმედები და ის აქაც შესძლებს ამას: გააჯანსაღებს ჩვენ მშრომელ ახალგაზრდობას, მოამზადებს კომუნისტურათ აღზრდილ მომავალ თაობას.

გაუმარჯოს „სპარტაკს!“

დ. შ.

რადიო-დეპეშები

გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი.

მოსკოვი. 27 ნოემბერი. ბურჟუაზიის და სოციალ რეფორმისტების იმედი, რომ გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტის ყრილობა არ შესდგება ფინანსიური დაბრკოლებების გამო, არ გამართლდა. მუშებმა ერთი დღის განმავლობაში შეაგროვეს სამი მეოთხედი მილ. მარკა.

კონგრესი გახსნა კომინტერნის კონგრესის მისასალმებელი დეპეშის წაკითხვით, კომინტერნის მილოცვას მქუხარე ტაშით შეეგებნენ.

პირველსავე სხდომაზე გამოაშკარავდა დელეგატების უკმაყოფილება ესდეკების ლიდერებით. კონგრესმა ზიზღით მოისმინა წერილი, რომელიც გამოგზავნა გერმანიის პროფ. კავშირთა გაერთიანებამ კონგრესში მონაწილეობის უარის თქმის შესახებ. მთელმა რიგმა ესდეკების დელეგატებმა, რომელნიც აღშფოთებულნი იყვნენ თავიანთი ლიდერების ყოფაქცევით, განაცხადეს კომპარტიაში შესვლის სურვილი. დამოუკიდებელთა ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმისმა ფრაქციამ დაკარგა რწმენა თავის წინამძღოლებისადმი, რომელთაც უარი განაცხადეს კონგრესში მონაწილეობაზე.

კომპარტიის, ომში დაღუპულთა საერთაშორისო კავშირის, ტიურინგიის მასწავლებელთა გაერთიანების წარმომადგენელთა მისალმების შემდეგ, კომპარტიის ცეკას სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჰეკმა.

დელეგატ გროცეს სიტყვა, რომელმაც დაგმო პროფკავშირთა შემთანხმებელი და პროვოკაციული მოღვაწეობა მქუხარე ტაშით იქნა დაფარული.

გერმანიის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბრანდლერმა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ირღვევა. ფაშიზმის ზრდა ამტკიცებს ბურჟუაზიის სისუსტეს, იმ ბურჟუაზიის, რომელიც უნდობლად უცქერის არმიას და პოლიციას. ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესის მიზანია—დარაზმოს მუშათა კლასი მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მოაწყოს კოალიცია მუშათა მთავრობის სასარგებლოთ. ბრანდლერი აყენებს მუშათა კლასის მოთხოვნილებათა შემდეგ პროგრამას: წარმოებაზე კონტროლის დაწესება, 8 საათის სამუშაო დღის უზრუნველყოფა, შრომის ხარკის შემოღება, მსოფლიო მუშათა კონფერენციის მოწვევა, ომის დროს დაშლილ ცხოვრების აღდგენის საკითხის განსახილველად, გერმანიის, რუსეთის, ავსტრიის და ოსმალეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით კონფერენციის მოწვევა თავდაცვის კავშირის მოწყობის მიზნით, ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება. პროგრამა მიღებული იქნა კონგრესის დიდი უმრავლესობით.

ბრანდლერი იტყობინება, რომ საქსონიაში კომუნისტებმა მიიღეს სოციალისტების პირობები. იქ მოსალოდნელია საქსონიის მუშათა მთავრობას შედგენა კომუნისტ ბეტხარის და ბრანდლერის მონაწილეობით.

კონგრესზე გამოცხადდა 841 დელეგატი. აქედან 657 კომუნისტებია.

ინტერვიუ ჩიჩერინთან

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ლოზანას კონფერენციის შესახებ ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა:

„საბჭოთა რესპუბლიკა გამოვა ლოზანაში აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მეგობრის და ოსმალეთის სუვერენულ უფლებების მისი მიწაწყლის დამცველის სახით. არის რა აგრესიულ ზრახვების მტერი, საბჭოთა რესპუბლიკას სურს შავ ზღვაზე მშვიდობიანობის ინტერესების დაცვა და თავისი ზღვის სანაპიროების უზრუნველყოფა. ოსმალეთის მიერ უცხოეთის სამხედრო გემების მიმოსვლისათვის სრუტეების დახურვა, მშვიდობიანი სავაჭრო მიმოსვლის დაცვით, ოსმალეთის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის სრული უზრუნველყოფა—აი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის საკითხში. ინგლისის პოლიტიკა დიამეტრალურად წინააღმდეგია: იგი სცდილობს მისი ფლოტის სრუტეებში დაუბრკოლებელი მიმოსვლის უზრუნველყოფას, სურს სრუტეების სანაპიროების დატოვება თავის ჯარების უშუალო გამგებლობის ქვეშ ე. წ. საერთაშორისო კომისიების დახმარებით, სადაც ინგლისს ექნება უპირატესობა, სხვა სახელმწიფოების წინაშე. ინგლისი სცდილობს უზრუნველყოს სადავო პუნქტები ხმელთა შუა და წითელ ზღვაზე და ინდოეთის ოკეანეზე. საფრანგეთი ინგლისის მუდმივი მეტოქეა. ეხლა, როდესაც საკითხი ეხება აღმოსავლეთის ხალხზე კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბატონობის გავრცელებას, პუანკარემ უეცრად დაჰყარა იარაღი ინგლისის წინაშე. მოულოდნელ ახალი ფაქტორის სახით ლოზანაში გამოვა იტალია, რომლის საგარეო პოლიტიკა განსხვავდება არაჩვეულებრივად გაბედული ინიციატივით. იტალია გრძნობს რა ინგლისის ეკონომიურ და საფრანგეთის პოლიტიკურ ზეგავლენას, სცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს უკანასკნელების ძლიერებას და ითვალისწინებს რა თავის რეალურ ინტერესებს, დაადგა საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების და დაახლოვების გზაზე. მეორეს მხრივ იტალიას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებსაც. ემანსიპაციის სურვილით გატაცებული იტალია არ იქნება მომხრე აღმოსავლეთის ხალხთა ევროპის სახელმწიფოების უღლიდან განთავისუფლებისა. ამიტომ იტალიის პოლიტიკა ლოზანაში სრულიად განსხვავებული იქნება სხვა სახელმწიფოების პოლიტიკისაგან“.

ლოზანის კონფერენცია

ოსმალეთის მოთხოვნილების შესახებ

მოსკოვი. 27 ნოემბერი. „დეილი ნიუზ“-ი იტყობინება, რომ მოკავშირეები ლოზანაში გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ოსმალეთის მოთხოვნილებას დასავლეთ ფრაკიაში პლებისციტის შესახებ. მათ განზრახული აქვთ აღმოსავლეთ-ფრაკია მისცენ ოსმალეთს, ხოლო დასავლეთი—საბერძნეთს.

ოსმალეთის ნოტა.

მოსკოვი. 27 ნოემბ. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ოსმალოები გადასცემენ მოკავშირეებს ნოტას, რომელშიაც ენერგიულად მოითხოვენ პლებისციტს ფრაკიაში. ოსმალოები თანახმა არიან მიეცეს ბოლგარეთს გასავალი ეგეის ზღვაში.

ამხ. ვოროვსკის თათბირი

მოსკოვი. 7 ნოემ. ვოროვსკის ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ისმეტ-ფაშასთან და კონფერენციის გენერალურ სეკრეტართან—კონტორინისთან.

გერმანიის ამბები

კუნოს დეკლარაცია.

ბერლინი. 25 ნოემბ. კანცლერმა კუნომ თავის დეკლარაციაში აღნიშნა უკმაყოფილება, რომ სოციალ დემოკრატები არ არიან თანახმა იმუშაონ ახალ კაბინეტთან ერთად და გამოსთქვა იმედი, რომ ახლო მომავალში ყველა პარტიები გაერთიანდებიან საერთო მუშაობის პლატფორმაზე. გერმანიამ უნდა იცხოვროს და იმუშავოს როგორც საერთაშორისო ოჯახის სწორუფლებიანმა წევრმა, ეხლა კი ის იტანჯება განუზომელი გადასახადების სიმძიმის ქვეშ, რაც აღიარებულია ყველა ქვეყნის ექსპერტების მიერ. გერმანიის პროდუქცია უკიდურესობამდე დასუსტებულია და, ამრიგად, ის სდგას მთელი თავისი მრეწველობის კატასტროფიული განადგურების წინაშე. ლოზუნგი ჯერ პური, ხოლო შემდეგ საკონტრიბუციო გადასახადები“ წარმოადგენს არსებობის შენარჩუნების ლოზუნგს, რასაც ანგარიში უნდა გაუწიონ წინანდელმა მოწინააღმდეგეებმა, განსაკუთრებით ამას უნდა დაეთანხმოს შეერთებული შტატები, რომლის დაუხმარებლად შეუძლებელია ამ საკითხის გადაჭრა. შემდეგ კანცლერმა განაცხადა, რომ ახალი კაბინეტი სავსებით უერთდება წინანდელ კაბინეტის ნოტას, რომელიც გადაეცა საფრანგეთს 3 ნოემბერს და ამავე დროს კაბინეტს განზრახული აქვს მტკიცედ დაიცვას წინანდელი კაბინეტის პროგრამა.

ახალი კაბინეტის მიერ ვირტის კაბინეტის პოლიტიკის გაგრძელება წარმოადგენს ლოღიკურ შედეგს იმისა, რომ პუანკარემ დეპუტატთა პალატას უკანასკნელ სხდომაზე ლაპარაკა, რომ გერმანიას ამ ჟამად მეტი არ ძალუძს გადასახადის შეტანა. გერმანიის პოლიტიკა წამოაყენებს სინდისიერ მუშაკებს, რომლებიც თავისუფალი იქნებიან, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის პოლიტიკის ლოზუნგებისაგან. კანცლერმა დაამთავრა თავისი დეკლარაცია განცხადებით, რომ ახალი კაბინეტი მიზნად დაისახავს გაერთიანებას და მუშაობის უმაღლეს ინტენსივობას. შეუძლიათ გერმანია შეავიწროვონ, მაგრამ მას ვერ მოსპობენ, თუ თვითონ არ დაჰყრის იარაღს. დეკლარაციას აწყვეტინებდნენ ადგილებიდან მხოლოდ კომუნისტები.

ტარიფის გადიდება.

ბერლინი. 25 ნოემბერი. 1 დეკემბრიდან გერმანიაში დიდდება რკინის გზის ტარიფი საქონლის და პირუტყვისგადაზიდვაზე 100 პროცენტით.

მღელვარებანი ბრაუნშვეიგში

მოსკოვი. 27 ნოემ. ბრაუნშვეიგში მღელვარებანი გრძელდება.

პროფკავშირებმა და ესდეკების პარტიის კომიტეტმა წარუდგინეს ბრაუნშვეიგის მთავრობას მოთხოვნილებანი, რათა მოეწყოს მუშების კონტროლი წარმოებაზე და დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული სეიმი.

კუნოს მთავრობა

მოსკოვი. 27 ნოემ. კუნო გამოვიდა რეიხსტაგში ახალი მთავრობის დეკლარაციით. კამათში მოხსენების შესახებ ესდეკი ბრეიტშეიდი უწოდებს ახალ კაბინეტს ბურჟუაზიული ბლოკის კაბინეტს ფარული სახით და აცხადებს, რომ ესდეკები ოპოზიციაში ჩაუდგებიან მთავრობას.

ბრეიტშეიდმა გაილაშქრა სასოფლო მეურნეობის მინისტრ მილერზე, უწოდა მას რევოლიუციის და რესპუბლიკის მტერი და ბრალი დასდო სახელმწიფოს ღალატში.

ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ მთავრობის მიმართ ისინი ლოდინის პოზიციას დაადგებიან.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა უკმაყოფილოა კუნოს კაბინეტით. გაზეთები შიშს გამოსთქვამენ გერმანიის მხრივ კონკურენციის შესაძლებლობის გამო და ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობა შეამცირებს თავის ვალდებულებებს.

„ჟურნალი“ სწერს: „სანაოსნო საზოგადოების დირექტორი კუნო დარწმუნდება მიმდინარე ზამთარში, როგორც კი დაიწყება უწესოებანი, რომ მას შეცდომა მოუვიდა, ვინაიდან მთავრობას სოციალისტების გარეშე არ შეუძლია აძულოს მუშები, რომ მათ მოთმინება იქონიონ“.

— გერმანიის მომარაგების მინისტრი მიულერი გადადგა მისდამი წარდგენილ ბრალდების გამო რეინის ოლქში სეპარატისტულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

სხვადასხვა ამბები

კომუნისტების პროცესი ვარშავაში.

მოსკოვი. 27 ნოემბ. 24 ნოემბერს ვარშავაში დაიწყო 39 კომუნისტის პროცესი, რომელთაც ბრალდებათ სახელმწიფო ღალატი. ბრალდებულთა შორის არის ეხლახან არჩეული სეიმის დეპუტატი პრულიკოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ქალაქთა მოსახლეობას.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერის გამო.

მიმდინარე წლის ნოემბრის 30 ში დაიწყება სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის პირველი აღწერა.

ეს აღწერა მისთვის გვინდა, რომ გავიგოთ ჩვენი ავ კარგი და აღწერით მიღებულ ცნობების შემწეობით გამოვნახოთ საშუალებანი ჩვენი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად

საჭიროა ვიცოდეთ რამდენი ბავშვია დარჩენილი სკოლის გარეშე და რა მიზეზით. ამით შეძლება მოგვეცემა გამოვარკვიოთ, თუ რამდენი სკოლის გახსნა იქნება კიდევ საჭირო, რომ არც ერთი ბავშვი არ რჩებოდეს სკოლის გარეშე. უნდა გამოვარკვიოთ რამდენი სკოლის გახსნა დაგვჭირდება არამც თუ წელს, არამედ მერმისაც, იქით მერმის, ხუთი წლის შემდეგ, ქალაქის რომელ ნაწილშია უფრო საჭირო სკოლების გამრავლება და რომელ ენაზედ.

ჩვენი უსასტიკესი მტერი—უსწავლელობაა, ხალხის სიბნელეში ყოფნაა და მის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ ყველამ, ხოლო თუ გვინდა რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოვიდეთ, უნდა წინასწარ ვიცოდეთ ყველაფერი, უნდა გვქონდეს ცნობები ამ ჩვენი მტრის—ხალხის უსწავლელობის შესახებ.

რომ წესიერად იყოს მოწყობილი მცხოვრებთათვის საექიმო-სასანიტარო დახმარება, უნდა ვიცოდეთ სად უფრო საჭიროა საავადმყოფოების, სამკურნალოების გახსნა, როგორ დაუახლოვოთ ხალხს საექიმო დახმარება და ამით როგორ გაუადვილოთ მას ავათმყოფობასთან ბრძოლა.

უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა არა ნორმალურ საბინაო პირობების წინააღმდეგ, რაიც გამანადგურებლად მოქმედობს თანამედროვე ქალაქის ცხოვრებაზედ.

უნდა გავაუმჯობესოთ სანიტარული მდგომარეობა ბინებისა, მეტადრე იმ რაიონებში და განაპირა უბნებში, სადაც უმთავრესად მუშები მოსახლეობენ, ამისათვის კი საჭიროა გვქონდეს სწორი ცნობები ბინების, სახლების შესახებ.

უნდა დაუახლოვოთ ხალხს სახალხო სასამართლო, რომ მას ადვილად შეეძლოს იმით სარგებლობა და არ ჰკარგავდეს ამაზედ დიდ დროს. სასამართალი უნდა იყოს ხალხის გასაგებ ენაზედ, დაახლოვებული მის ზნეჩვეულებასთან და ყოფა-ცხოვრებასთან; ყველა ამისთვის კი საჭიროა ისევ და ისევ ცნობები: სად რა ხალხი სცხოვრობს, რა ენაზე ლაპარაკობს და სხვა და სხვა.

უნდა ვიცოდეთ მცხოვრებთა რა ნაწილი ეწევა წარმოებითი შრომას, უნდა ვიცოდეთ ვის ხელშია ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი, მისი აღმშენებლობის საქმე, ჩვენი მომავალი.

ყოველი ამის გამოსარკვევად ხდება ხსენებული აღწერა მოსახლეობისა. ეს არის მიზანი აღწერისა და არა ის, რომ ამის მიხედვით დაწესდეს რაიმე გადასახადები, მოხდეს მოსახლეობის შემჭიდროება-ჩასახლება ან და სხვა რაიმე ვალდებულებათა და შევიწროებათა შემოღება. არა და არა. აღწერა ხდება ხალხისავე სასიკეთოდ.

ამ რიგად ქალაქის ცხოვრების რომელ მხარესაც არ უნდა შევეხოთ, ყველგან საჭიროა **სწორი ცნობები** ამ ცხოვრების შესახებ; თუ ასეთი ცნობები, ასეთი ცოდნა არ გვექნება, მოგველის მუდამ სიბნელეში სიარული, ყოველივე ჩვენი მუშაობა გაუთვალისწინებელი იქნება, ყოველი ნაბიჯი გაუბედავი; ასეთ მუშაობის დროს კი შეცდომები აუცილებელია და ხშირად გაუსწორებელი.

დიდი რევოლიუციის წყალობით ჩვენი ცხოვრების სადავე დღეს მშრომელს უჭირავს. მაგრამ იგი არ უნდა იყოს მხოლოდ უბრალო მატარებელი თავისი უფლებისა, არამედ მან უნდა დაამტკიცოს რომ იგი ღირსეული პატრონია ქვეყნისა ღირსეული პატრონი კი ის არის, ვინც კარგად იცის თავისი ქონება, თავისი ფაბრიკა-ქარხნები, თავისი სახლკარი, იცის სად რა აქვს და რა მდგომარეობაში, იცის თავისი ქალაქის ცხოვრების პირობები.

მხოლოდ ყოველმხრივი დახმარება, შეგნებული დამოკიდებულება და უტყუარი ცნობების მიცემა ჩვენს შესახებ, ჩვენივე პირ ვარამზედ მოგვცემს ჩვენს ნამდვილ სურათს, სწორ წარმოდგენას ჩვენ საჭიროებაზედ და ამით გაგვიადვილებს მათ გადაჭრასაც.

აღწერის წარმატება დამოკიდებულია თვითეულ ჩვენთაგანზედ.

აღწერის სასურველად ჩატარებაზედ დამოკიდებულია სამეურნეო ცხოვრების სწორი ორგანიზაციაც.

აღწერამ უნდა მოგვცეს **სწორი და უტყუარი ცნობები.**

აღწერის გარეშე არ უნდა დარჩეს **არც ერთი ადამიანი.** თუნდაც რომ იგი იყოს ძუძუმწოვარა ბავშვი.

აღწერა უნდა შესრულებულ იქნეს **სწრაფად** და არავითარი დაბრკოლება არ უნდა გადაეღობოს ქალაქთა მოსახლეობის ცხოვრების შესწავლას.

მთელი მოსახლეობა, მთელი მშრომელი ხალხი, როგორც ერთი ადამიანი, თავისი შეგნებული დამოკიდებულებით, უნდა დაეხმაროს აღწერის მწყობრად და წესიერად გატარებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ნოემბრის 9. ტფილისი—სასახლე.

რუსეთი და იაპონია

მოსკოვი. 27 ნოემბ. გაზ. „ასახში“ დაბეჭდილია საუბარი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელმაც განაცხადა: „ციმბირიდან იაპონიის ჯარების ევაკუაცია იძლევა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების დაუყონებლივ დაწყების საბაბს. თუ რუსეთი წინადადებას მისცემს იაპონიას, უკანასკნელი სიამოვნებით დათანხმდება.

იტალია

ფაშისტები.

მოსკოვი. 27 ნოემბ. ფაშისტების კაბინეტის განათლების მინისტრის ამხანაგმა ბრძანება გასცა გაკრულ იქნეს კედლებზე სახალხო სკოლებში მეფის სურათები და ჯვრები.

ირლანდია

მოსკოვი. 27 ნოემბ. ირლანდიის გამოჩენილმა რევოლიუციონერ ჩირზელდ ჟასის დასჯამ გამოიწვია დუბლინში ძლიერი აღშფოთება. შიშიანობენ სერიოზულ მღელვარების დაწყებას.

ინგლისი

ლოიდ-ჯორჯი.

მოსკოვი. 27 ნოემბ. ნაციონალ ლიბერალების ფრაქციამ ინგლისის პარლამენტში ერთხმად აირჩია ლოიდ-ჯორჯი თავის ლიდერათ.

ინგლისის თემთა პალატაში

მოსკოვი. 27 ნოემბ. მეფის სიტყვის შემდეგ თემთა პალატაში, გამოვიდა ძლიერი სიტყვით კომუნისტი ნიუბოლდი: „ჩვენ ვიქვობთ, განაცხადა ნიუბოლდმა, რომ მუშათა პარტია შესძლებს კონსტიტუციონური გზით გაუმკლავდეს უმუშევრობას, ჩვენ არ [illegible] მაკდონალდის მოთმინება, მაგრამ ჩვენ ვიმოქმედებთ წინააღმდეგ კაპიტალისტებისა ისევე, როგორც მათ წინამორბედებს მოეპყრო კრომველი. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გადაიჭრას საკითხი უმუშევრობის შესახებ. თუ ჩვენ ამას აქ ვერ მივაღწევთ მაშინ ჩვენ საკითხს პარლამენტის კედლების გარეშე გადავსჭრით. ჩვენ მოხარული ვართ, რომ მეფე და მინისტრები დაინტერესებული არიან უმუშევრობით, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ისინი ნაკლებს ხარჯავდენ ფუფუნებისა და ყოვლად უსარგებლო ცერემონიებისათვის“.

„მე ვამაყობ კომპარტიის წევრობით და მით, რომ ვიმყოფები ერთი დროშის ქვეშ ლენინთან“; ნიუბოლდის ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიწვია დიდი აღშფოთება კონსერვატორებს შორის.

ნიუბოლდმა დაამთავრა: „ადრე თუ გვიან თქვენ იძულებული იქნებით იცნოთ საბჭოთა მთავრობა. რაც უფრო ადრე მოხდება ეს მით უკეთესია“.

თემთა პალატის გახსნა.

კროიდონი, 24 ნოემბერი. მეფემ თავისი მეუღლის თანადასწრებით გახსნა ახალი თემთა პალატის პირველი სესია. შეეხო რა ირლანდიის საკითხს მეფემ სადარბაზო სიტყვაში აღნიშნა, რომ ვაჭრობისა და მოსამსახურეთა მიმართ მთავრობა ამზადებს ღონისძიებებს ამ საქმის გასაუმჯობესებლად და ბრიტანიის კომერციულ ურთიერთობათა გასაფართოებლად. ამასთან დაკავშირებულია საკითხი ავსტრიისათვის სესხის მიცემის შესახებ და ახლო აღმოსავლეთის ბრძოლების გადაწყვეტა. ლოზანის კონფერენციის შესახებ მეფემ სთქვა: „მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიძნელის გადასაჭრელად დაიწყო და მე იმედი მაქვს, რომ ლოზანას კონფერენციაზე ჩემი მინისტრების ცდა, რომელნიც მოქმედებენ სრულის შეთანხმებით მოკავშირეთა წარმომადგენლებთან, ნაყოფს გამოიღებს და მიხწეულ იქნება მშვიდობიანობა და კეთილდღეობა იმ რაიონების მცხოვრებთათვის, რომელთაც ამ ახლო წარსულში განიცადეს დიდი უბედურება“. სადარბაზო სიტყვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ყველა პარტიების ორატორებმა. განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკეს უმუშევართა საკითხის შესახებ. მუშათა პარტიის ლიდერი რამზეი მაკდონალდი ლაპარაკობდა ისეთი კანონმდებლობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც განამტკიცებდა ირლანდიის კონსტიტუციას. მუშათა პარტია ვერ დასდებს პირობას, რომ სახელმწიფოში დაცული იქნება მშვიდობიანობა, მაგრამ გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რათა დაეხმაროს თემთა პალატას და მთავრობას დასახულ მიზნის მიხწევაში. მუშათა პარტია დაეხმარება მთავრობას ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გაუმჯობესებაში და ირლანდიისათვის ახალ და სასარგებლო პირობების შექმნაში, მან აღნიშნა, რომ ახალი პრემიერი თავის დროზე დიდი მოწინააღმდეგე იყო ირლანდიის ეგრედ წოდებულ „გამოყოფისა“.

ბონარ ლოუმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მან იცის თემთა პალატაში ორი უძლიერესი ოპოზიციის არსებობის შესახებ, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში შესძლებს ამ ორი მიმდინარეობის შეთანხმებას ერთი მეორესთან. ირლანდიის შესახებ პრემიერმა მიუთითა, რომ მთავრობას არ გადაუდგამს არავითარი ნაბიჯი, რომელიც მოწმობდეს, რომ მან უარყო თავისი წინანდელი შეხედულება ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულებაზე.

არ არის არავითარი საფუძველი ირლანდიის ან ინგლისის გაფრთხილებისათვის, რადგან მათი ინტერესები ერთი და იგივეა: ორივე სახელმწიფოებმა თანხმობით უნდა იცხოვრონ. ლოზანას კონფერენციის შესახებ ბონარ ლოუმ განაცხადა: „ჩვენი ერთად ერთი მიზანია—მივაღწიოთ ზავს, და ალბად, ჩვენ მას მივაღწევთ კიდეც, თუ მოვიხმართ ყველა შესაძლო საშუალებებს და ვიმოქმედებთ მოკავშირეებთან სრულის შეთანხმებით“. შემდეგ ილაპარაკა ასკვიტმა. ის უწონებს პრემიერს მის მიერ დაჭერილ პოზიციას.

ასკვიტმა გამოსთქვა აზრი, რომ ირლანდიასთან დადებულ ხელშეკრულებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მის შეკავშირებას ინგლისთან. ეხლა ირლანდია თითონვეა თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებელი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ლენინის სიტყვა მოსკოვის საბჭოში.

მოსკოვი. 27 ნოემბ. მოსკოვის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდა სიტყვით ამხ. ლენინი, რომელსაც შეხვდენ ხანგრძლივი და აღფრთოვანებული ოვაციებით. ამხ. ლენინი თავის სიტყვაში შეეხო რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას, რომელიც დაახასიათა პოლიტიკური მხრით სასურველად, აღნიშნა რა ამის დასამტკიცებლად იაპონიის მიერ „პრიმორია“-ს დატოვება დ შორეულ აღმოსავლეთის საბჭ. ფედერაციასთან გაერთიანება „ეკონომიური მხრით, სთქვა ამხ. ლენინმა, „გრძელდება მდიდარ ბურჟუაზიული ქვეყნების ბოიკოტი, რომელნიც არ მოდიან ჩვენსკენ დასახმარებლად“. აუცილებელია დავსჭიმოთ მთელი ჩვენი ძალები ეკონომიურ ფრონტზე და გაძლიერებულად ვიმუშაოთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა ანგარიშის დაჭერით დ მოგებით წავიყვანოთ ფაბრიკები და ჩვენი მეურნეობა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეს ჩვენი უკან დახევაა, მაგრამ ეს მისთვის, რომ უკან დახევით უფრო მიზანშეწონილი ნახტომი ვქნათ სოციალიზმის მოსაპოებლად სოციალიზმი უკვე ხატი აღარაა ეხლა, ის ჩვენ გადმოვიტანეთ ამ ქვეყნად და პრაქტიკულ მუშაობაში დაუღალავი შრომით ვანხორციელებთ მას ახალი ეკონომიური პოლიტიკის მატარებელი რუსეთი რამოდენიმე წლის შემდეგ შეიქნება სოციალისტური“.

ფინანსთა სახ. კომისრის დანიშვნა

მოსკოვი. 25 ნოემ. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე სოკოლნიკოვი დანიშნა ფინანსთა სახ. კომისრად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

უნგრეთში

უნგრეთის მუშების ეკონომიური ბრძოლა.

უნგრეთის პროფესიონალური მოძრაობა ჯერ კიდევ კონტრ-რევოლიუციის მძიმე უღლის ქვეშ იმყოფება. უნგრეთის პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის პირობები გვაგონებენ იმ დროს, როდესაც კიდევ არ არსებობდენ ლეგალური პროფკავშირები. საბჭოთა დიქტატურის ჩამოგდებით დაწყებული ტერორი, რომლის შედეგიც იყო მრავალ პროფკავშირების გარეკა, დაარსება „ქრისტიანულ“ ყვითელ პროფკავშირების, შეზღუდვა და მუშათა მრავალ ნაწილებისათვის კი სრული გაუქმება კოალიციის უფლებისა—აი ეს ტერორი გრძელდება უცვლელად. სახელმწიფო მოსამსახურეების სხვადასხვა ნაწილებს—რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვათა მოსამსახურეებს—აკრძალული აქვთ ყოველგვარი ორგანიზაცია. რკინის გზელთა პროფკავშირს უხდება ჰერს ქვეშ არსებობა. მთავრობამ მესამედ დაჰკეტა რკინის გზელთა პროფესიონალური გაზეთი. განსაკუთრებით სასტიკად იდევნება პოლიციის მიერ სოფლის მუშების ორგანიზაციული მოძრაობა. სწორედ უკანასკნელ დღეებში გამოქვეყნდა ახალი კანონპროექტი, რომლის ძალითაც გაფიცვის უფლებაც კი უნდა იქნეს შეზღუდული. კანონპროექტს ეწოდება: „კანონი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად“, და შეიცავს წესდებას მუშების პოლიციაში სავალდებულო გამოცხადების და კონცენტრაციულ ბანაკების იძულებითი სამუშაოს ბანაკებათ გადაქცევის შესახებ. იმ პირების, რომელნიც მოუწოდებენ მუშებს გაფიცვისაკენ, რომელიმე ორგანიზაციაში შესვლის ან გამოსვლისაკენ ან და ხელს შეუშლიან შტრეიკბრეხერთა მუშაობას, მოელისთ სასტიკი სასჯელი. მთავრობის მიერ მუშათა მოძრაობის ასეთ შევიწროებას თან ეერთდება შევიწროება მწარმოებელთა მხრიდან. მწარმოებელთა უმეტესი ნაწილი უარს ამბობს პროფკავშირთა უფლების აღიარებაზე და არ ცნობს რწმუნებულთა სისტემასაც.

ამ გვარად, მუშათა მოძრაობის ჩაქრობა ხდება იმავე წესით როგორათაც ხდებოდა ეს თეთრი ტერორის პირველ სისხლიან თვეებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აფიცერთა ბანდის გალაშქრება მუშების წინააღმდეგ შეიცვალა ორგანიზაციული სახელმწიფოებრივი ტერორით. მაგრამ თანამედროვე მდგომარეობა მით განსხვავდება მაშინდელ მდგომარეობიდან, რომ მუშები იწყებენ წინააღმდეგობის გაწევას სახელმწიფოს და მწარმოებელთა ჩაგვრის საწინააღმდეგოთ, უფრო გაბედულად აწარმოებენ ბრძოლას ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით, სამუშაო ხელფასისთვის ბრძოლა ვრცელდება მუშათა სულ უფრო და უფრო ფართო მასებში.

აგვისტოში მუშათა სხვადასხვა კატეგორიების ბრძოლამ სამუშაო ხელფასის შესახებ მიიღო თითქმის საერთო გაფიცვის ხასიათი.

ეს ბრძოლა დაიწყეს ბუდაპეშტის მელითონეებმა და სამთოთადნო მუშებმა. მათ შეუერთდენ წისქვილების მუშები, მეტყავეები და დამზღვევ დაწესებულებათა მოსამსახურეები. ამ გაფიცვათა პრინციპიალური მნიშვნელობა გამოიხატებოდა მასში, რომ მებრძოლი მასები თვითონვე მოითხოვდენ დაჟინებით გაფიცვების გაგრძელებას მებრძოლ პროფესიების ორგანიზაციულ გაერთიანებას.

სამთოთადნო მუშების გაფიცვის უშედეგო დამთავრების შემდეგ ყველა დანარჩენი გაფიცვებიც ამ გვარათვე დამთავრდენ. მელითონეები იძულებული გახდენ დათანხმებულიყვენ მწარმოებელთა წინადადებაზე 25 პროც. მომატების შესახებ ნაცვლად 45 პროც.-სა, რომელსაც ისინი თხოულობდენ. მეწისქვილეები, რომელნიც თხოულობდენ სამუშაო ქირის სიძვირესთან შეფარდებით მომატებას და სამუშაო დღის 12 საათიდან 10 საათამდე დაყვანას, დაემორჩილენ მწარმოებელთა წამოყენებულ პირობებს. ამ გაფიცვებში მონაწილეობდენ 60—70 ათასამდე მუშა.

აგვისტოს მასიურ გაფიცვებს სექტემბერში და ოქტომბერში თან მოჰყვა წვრილ წარმოებათა მუშების და სხვადასხვა კატეგორიის მოსამსახურეთა გაფიცვები.

საერთოთ უნგრეთის პროლეტარიატის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მიუხედავათ გაფიცვების უშედეგოთ დამთავრებისა.

ცეკავშირის რწმუნებულთა მესამე ყრილობა

26 ნოემბერს, სრულს 12 საათზე საქართველოს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა პირველი სხდომა სრულიად საქართველოს კოოპერატიულ კავშირების რწმუნებულთა მესამე ყრილობის, ცეკავშირის თავმჯდომარე ი. ცაგარელი აცხადებს, რომ რეგისტრაციაში უკვე გატარებულია 150 დელეგატი და შესაძლებელია კანონიერი ყრილობის გახსნა. წინადადებას იძლევა დაასახელონ პრეზიდიუმის წევრები.

კომუნისტური ფრაქცია ასახელებს ამხ. მ. ოკუჯავას, ა. ერქომაიშვილს, გალ. ტოროშელიძეს, ყურულოვს, ერისთავს და ქაცარავას. **საბაშვილი** ყრილობის ერთი ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ ის სცნობს ყრილობას უკანონოდ რადგანაც არჩევნების დროს ადგილი ჰქონდა არჩევნების წესის დარღვევას. ამხ. **გ. კანდელაკი** კანონიერათ სთვლის ყრილობას და სთხოვს ახლად არჩეულ პრეზიდიუმს დაიკავოს ადგილი. პრეზიდიუმი იკავებს თავის ადგილს, რის შემდეგ ხდება სამდივნოს არჩევა. არჩეულ იქნენ იდელსონი, ბუხნიკაშვილი და ცინცაძე. მენშევიკების უმნიშვნელო ჯგუფი სცდილობს დემონსტრაციის მოწყობას და აცხადებს, რომ ის ყრილობის დღის წესრიგის გამომუშავებაში არ მიიღებს მონაწილეობას. ყრილობა პროტესტით ეგებება მათ გამოსვლას.

ამხ. **ტოროშელიძე** ამბობს, რომ თუ რამე უკანონობა იყო ჩადენილი არჩევნებში შეიძლება მისი განსახილვება სამანდატო კომისიაში.

ამხ. **ერქომაიშვილი** ამბობს: ვისაც არ სურდა ყრილობაზე მოსვლა შეეძლო არ მოსულიყო: არც ერთი კრება არ შემდგარა რომ ლაპარაკი არ ყოფილიყო მის კანონიერებაზე თუ უკანონობაზე, საბაშვილის განცხადება უსაფუძვლოა, რადგანაც ჩვენ ჯერ არ ვიცით ვინ არის კრების წევრი და ვინ არა? ავირჩიოთ სამანდატო კომისია, სადაც შეიძლება შეიტანოთ ყოველგვარი განცხადება არჩევნების შესახებ და რომელიც გამოარკვევს არჩევნების კანონიერებას და შეამოწმებს მანდატებს.

მენშევიკური ჯგუფი მაინც არ კმაყოფილდება.

ამხ. **ტოროშელიძე** ეკითხება მათ: თქვენ გინდათ რომ დავიშალოთ? საბაშვილი აცხადებს 24 კოოპერატორების სახელით, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ ყრილობაში. ყრილობა ირჩევს სამანდატო კომისიაში: მკურნალს, რუხაძეს და აჯამოვს.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნენ ამხ. ფ. მახარაძე, მიხა ცხაკაია და ბუდუ მდივანი.

ცეკავშირის თავმჯდომარე ი. ცაგარელი აცხადებს ყრილობის წესრიგს:

1) გამგეობის მოხსენება 1921—1922 წლის საქმიანობაზე.

2) 1921 წ. ფინანსიური ანგარიში და მოგების განაწილების პროექტი.

3. მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.

4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

5. კოოპერატიული მშენებლობის საკითხები. მუშათა კოოპერაციის, სატრანსპორტო სამხედრო და კოოპერაციის სხვა დარგების დამოკიდებულება.

6. მომავალი სამოქმედო გეგმა, 7. არჩევნები, 8. მიმდინარე საკითხები. კრების თავმჯდომარის წინადადებით შ. დუგლაძე კითხულობს რეგლამენტს, რომელსაც კრება ღებულობს საერთოდ უცვლელათ: მოხსენებების ვადა განისაზღვრა ერთი საათით, სხდომების დრო დანიშნულია დილის 9—3 და საღამოს 5—8 საათამდე. ამის შემდეგ იწყება მისალმებები.

ამხ. მ. ორახელაშვილის სიტყვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ამხ. მ. ორახელაშვილი ესალმება ყრილობას და აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ბრწყინვალე სხივებს უკვე ჩაუნათებია იმ ჯურღმულში, სადაც აქამდე მოკალათებულ იყვენ ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები. კოოპერაცია მათ თავის მიუვალ ციხე სიმაგრეთ მიაჩნდათ, მაგრამ რევოლიუციის მუდოს ჩინებულათ უმუშავნია. ყრილობაზე იყო უკბილო დემონსტრაცია; კრებას გამოაკლდა 24 ძველი კოოპერატორი. ეს არ შეაფერხებს ყრილობის საქმიანობას, 25 თებერვლის ტალღა საქართველოში არ შეჩერდება სანამ არ წალეკავს ყველა იმ სიბინძურეს, რომელსაც ადგილი ქონდა მენშევიკების ბატონობის დროს სხვა და სხვა დაწესებულებებში და საზოგადოებებში. მოწინააღმდეგენი გაჰკივიან, რომ ქართველი ხალხი განიკურნა ბოლშევიზმისაგანო, ვისურვებ რომ დედამიწის ყოველი კუთხე ასე განკურნებულიყოს ბოლშევიზმისგან. საქართველოში იყო მრავალი ყრილობები: საბჭოების, პროფკავშირების, რკინისგზელების და სხვა, მაგრამ მენშევიკები ყველგან განზე რჩებიან, ეს დღევანდელ ყრილობაზეც გამოაშკარავდა. ასეთია ბედისწერა იმ პარტიისა, რომელიც პოზიციას პოზიციაზე ჰკარგავს· მშრომელმა ხალხმა იცნო და შეიგნო ვინ არის მისი მოკეთე.

შემდეგ ამხ. მამია ორახელაშვილი არკვევს კოოპერაციის ამოცანების ადგილს მუშათა საერთო რევოლიუციონურ მოძრაობაში, ამტკიცებს რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს ყოველი ფორმა სახალხო საზოგადოებრივ მოძრაობისა უნდა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს რევოლიუციისას, შეუძლებელი და მიუღებელია კოოპერაციის დამოუკიდებლობა მუშათა მოძრაობისაგან.

ჩვენ შეძლებისდაგვარათ ვეხმარებოდით ცეკავშირს, მით უფრო მეტი ექნება დახმარება განახლებულ, ოქტომბრის ემბაზში მონათლულ ცეკავშირს. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის ემბაზში მონათლულ საქართველოს კოოპერაციას და მის კავშირს საერთაშორისო წითელ კოოპერაციასთან!

ამხ. პადერინის სიტყვა.

„ცენტროსოიუზის“ სახელით ამხ. პადერინი ესალმება ყრილობას და უსურვებს წარმატებით გადაჭრას ყველა ის საკითხები, რომელიც წინ უდევს საქართველოს კოოპერაციას. ის საჭიროდ სცნობს კოოპერაციის ყველა დარგების გაერთიანებას მთლიან კავშირში. კოოპერაცია საბჭოთა წესწყობილებასთან და მის სახალხო მეურნეობის საერთო პოლიტიკასთან შეთანხმებულად უნდა მიდიოდეს.

ამხ. ბალტინის სიტყვა.

ამხ. **ბალტინი.** ამიერკავკასიის კოოპერატიული კავშირის („ზაკსოიუზი“) სახელით ესალმება ყრილობას და ამბობს რომ კოოპერაციის მუშაობა უნდა შეფარდებულ იქნას სახალხო მეურნეობის საერთო ეკონომიურ სისტემასთან.

მხოლოდ საქართველოს კოოპერაცია შეადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს, ოაზისს.

ცეკავშირი წარმოშობილია ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სისტემის მეფობის დროს, როგორც ასეთი ის დაძველდა, საჭიროა მისი გარდაქმნა ახალ სამეურნეო ამოცანების მიხედვით.

ამხ. ქაცარავას სიტყვა.

საქ. მუშათა კოოპერაციის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ქაცარავა და ამბობს, რომ მუშათა კოოპერაციამ გაანგრია ცეკავშირის კედელი, დაუკავშირა კოოპერაცია მუშათა მოძრაობას.

ამიერიდან კოოპერაცია მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელ ჩაკიდებული იმუშავებს სამეურნეო ფრონტზე.

ცალკე ცენტრი საჭირო არ არის, კოოპერაცია როგორც ერთი მდინარე წავა წინ ერთი გზით.

მის შემდეგ ყრილობას ესალმებიან სატრანსპორტო (რკინის გზის) კოოპერაციის სახელით ამხ. ჩხენკელი, რკინის გზის მუშების წარმომადგენელი, სამხედრო კოოპერაციის წარმომადგენელი ამხ. გორდელაძე და სხვა.

ყრილობამ დაადგინა მიესალმოს ამხ. ლენინს, საქ. ცეკას, საკავშირო საბჭოს, სახალხო კომისართა საბჭოს. მისალმებათა ტექსტის გამომუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

კრება ისმენს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ი. ცაგარელის ვრცელ მოხსენებას, რომელიც აღიარებს, რომ ცეკავშირის და საქართველოს სამოქალაქო კოოპერაციის მუშაობა მინელდა, დასუსტდა, მაგრამ ამას ჰქონდა ობიექტიური მიზეზები; ის ვრცლად განმარტავს ამ მიზეზებს და ამტკიცებს, რომ ცეკავშირმა გააკეთა ის, რაც შესაძლებელი იყო იმ პირობებში, რომელშიდაც მას უხდებოდა მუშაობა.

მოხსენების შემდეგ კრება გადადებულ იქნა ორშაბათ დილისათვის, რადგანაც საღამოს ყრილობის კომუნისტური ფრაქცია მიწვეულ იქნა კომპარტიის ცეკას მიერ კრებაზე მიწის საკითხის განსახილველათ, რის შემდეგ დელეგატები მიწვეულ იქნენ სახაზინო თეატრში. ორშაბათის კრება გაიხსნება მუშკოპის შენობაში, კიროჩნი, 7.

ამხ. ზალიკო ქიქოძე

24 ნოემბერს, ჭლექით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სიცოცხლეს მოსწყდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მებრძოლი კომუნისტური პარტიის ერთი თავდადებულ წევრთაგანი—ამხ. ზალიკო ქიქოძე.

ზალიკო უკვე გიმნაზიაში ყოფნის დროიდანვე იწყებს მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ ამხ. ზალიკო აგრძელებს სწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტში. იქ 1917 წელს რევოლიუციის დაწყებისთანავე აქტიურ მონაწილეობას იღებს შეიარაღებულ გამოსვლებში. მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით „ვოლინის“ პოლკმა აიღო ციხე „კრესტი“. შემდეგ, როცა მონარქიული მთავრობა დაემხო და წარმოიშვა მუშათა და სალდათთა საბჭოები, ამხ. ზალიკო მუშაობას ეწეოდა პეტერბურგის საბჭოში. ხოლო ზაფხულში იმავე წელს იქიდან გამოგზავნილი იქნა კავკასიის ფრონტზე ჯარში სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისათვის. ოქტომბრის რევოლიუციის დროს ამხ. ზალიკო მუშაობას ეწეოდა პეტერბურგის რევკომში საიდანაც დანიშნული იქნა პეტერბურგის ე. წ. „გრადონაჩალსტვოს“ კომისრის მოადგილეთ. 1918 წელს რ. კ. პ. ცეკამ გამოგზავნა კვლავ კავკასიის ფრონტზე ნოვოროსიისკიდან სპეციალური მონდობილობით. სხვათა შორის ამ ხანებში ის მოხვდა სოხუმში რომელიც, მაშინ, დროებით ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს.

1919 წელს ამხ. ზალიკო ისევ მიდის მოსკოვში საიდანაც შემდეგ პასუხისმგებელ კავკასიელ ამხანაგების მობილიზაციის დროს იმავე წელს გზავნიან ყირიმში, იქიდან სტამბოლში.

1919 წლის დასასრულს ამხ. ზალიკო მოდის საქართველოში. ეს წელი ცნობილია როგორც გამუდმებული გლეხთა აჯანყებების ხანა გაბატონებულ მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებებს აწყობს და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. აი ამ აჯანყებების სამზადისში აქა თუ იქ, ამა თუ იმ სახით, ამხ. ზალიკო ღებულობს მონაწილეობას რისთვისაც მენშევიკების ჟანდარმერია აწყვდევს მას ციხის ბნელ და ნესტიან საკანში. ამხ. ზალიკო იჯდა ერთი თვე ოზურგეთის ციხეში, და 7 თვე მეტეხის ციხეში, თბილისში.

აი მოკლე ცნობები ამხ. ზალიკოს რევოლიუციონურ-პარტიულ მუშაობიდან.

რევოლიუციონურმა მუშაობამ, ციხეებში ჯდომამ დაასნეულა ამხ. ზალიკო საშინელი სენით.

მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა გასაბჭოებულ საქართველოში 1921 წლიდან ამხ. ზალიკო ეწევა აღფრთოვანებულ, გატაცებულ მუშაობას...

1922 წელს გაზაფხულზე მოსკოვიდან დაბრუნებულ ავადმყოფ ზალიკოს სიცოცხლის ნიშან წყალი აღარ ჰქონია. იგი უკვე კუბოში ჩასვენებულ მკვდარს ჰგავდა, რომელიც რაღაც უჩინარ ძალას (სიცოცხლის ძლიერ სურვილს, ალბად) მაინც ფეხზე დაჰყავდა.

ამხ. ზალიკო ჩვენი ცეკას მიერ სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი აბასთუმანში საქიმოთ.

სეზონის გათავების შემდეგ, მისი დაჟინებითი მოთხოვნისამებრ, ის ჩამოყვანილი იქნა აქ, თბილისში, სადაც ცოცხალ მკვდარს თავზე ადგა შეწუხებული დედა და ნახულობდენ ახლობელი მეგობარ-ამხანაგები.

... ვერავითარმა ზომებმა ველარ შესძლო გამოეგლიჯა ამხ. ზალიკო სიკვდილის ბრჭყალებიდან.

ამხ. ზალიკო, ახალგაზრდა მებრძოლი კომუნისტი დღეს აღარა ჰყავს საქართველოს კომუნისტურ პარტიას. ჩვენი პარტია გლოვობს მის ასე უდროვოდ დაკარგვას!

მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მეგობარ-ამხანაგების გულში.

ხევსახტი.

სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა

(დასასრული იხ. „კომუნისტის“ № 265).

თავმჯდომარეობს **დ. კარიჭაშვილი.**

სასოფლო სამეურნეო აღწერის ორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი ამხ. გრიგორიანი, რომელიც ამბობს, რომ სასოფლო სამეურნეო აღწერის მოხდენა განზრახულია მომავალ 1923 წლის გაზაფხულის მიწურულში. განმარტავს რა ხსენებულ აღწერის სირთულესა და მნიშვნელობას, განსაკუთრებით ისეთ სამეურნეო ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო, მომხსენებელი გრიგორიანი სთვლის აუცილებელ საჭიროებად დადასტურებულ იქნეს ყრილობის მიერ აუცილებლობა ასეთი აღწერისა და ზოგადად მაინც მოხაზული პრაქტიკული შესაძლოება განზრახულ საქმის მოგვარებისათვის.

ყრილობას საქმიანი რჩევის და შენიშვნების შემდეგ მისაღებად მიაჩნია შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ, სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა აღიარებს ასეთ აღწერის დროულობას და მის უკიდურეს საჭიროებას მოხსენებაში მოხაზული პროგრამისა და გეგმის მიხედვით და ანდობს სამმართველოს მიიღოს ყოველგვარი ზომები ხსენებული აღწერის სასურველად ჩასატარებლად.

აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის სასურველად ჩატარების მიზნით უნდა მოეწყოს სტატისტიკური კურსები რაიონებისა და თემების პასუხისმგებელ ინსტრუქტორთა კადრის შესაქმნელად“.

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

ამხ. ყოჩიაშვილი აკეთებს მოხსენებას სტატისტიკის პოპულიარიზაციის შესახებ.

განუმარტავს რა ყრილობას სტატისტიკის პოპულიარიზაციის საჭიროებას, აღნიშნავს მთელ რიგ ზომებისას, რომლის მიღებაც მოამზადებდა სათანადო ნიადაგს სტატისტიკის გავრცელებისათვის, ხოლო ფართე მასას შეაყვარებდა და შეათვისებდა მეცნიერების აღნიშნულ დარგს, როგორც უაღრესად პრაქტიკულსა და სასარგებლო საქმეს. მომხსენებლის აზრით საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს გამომცემლობის საქმეს, რათა ყველასათვის მისაწდომ და გასაგებ ენით დაწერილი ბროშურებითა თუ წიგნებით საქართველოს მშრომელ ხალხს მიეცეს საშუალება სტატისტიკის სიღრმეში ჩახედვისა და სტატისტიკის შინაარსის შეთვისებისა. საჭიროა, ამბობს მომხსენებელი, სტატისტიკამ შეიგნოს აღსარიცხავ ობიექტის ბუნება, ხოლო აუცილებელია აგრეთვე ობიექტის მიერ გეგმა და შეყვარება სტატისტიკის, რომ ერთმანეთის დაპირისპირებას, ერთმანეთის გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს და ამით ამაღლებულ იქნას სტატისტიკის შინაარსი აბსოლიუტურ სინამდვილესთან დაახლოვებით.

მცირე კამათისა და შეკითხვების შემდეგ ყრილობამ ერთ ხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. ყოჩიაშვილის მოხსენება სტატისტიკის პოპულიარიზაციის შესახებ, ყრილობა სავსებით იზიარებს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს და სთვლის რა სტატისტიკის პოპულიარიზაციას სახელმწიფო სტატისტიკისათვის გარდუვალ ზომად, ავალებს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს გამონახოს ყოველგვარი საშუალებანი წამოყენებულ დებულებათა რეალიზაციისათვის. ხოლო საჭირო კრედიტის გახსნამდე დაევალოს სამმართველოს სტატისტიკის საპოპულიარიზაციო ფონდის გასაძლიერებლად გადასდოს ყოველდღიურ ლიტაციიდან განსაზღვრული პროცენტი.

თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი კითხულობს დეპეშებს, გაგზავნილს მოსკოვსა და ბრიუსელში, ერთი სრულიად რუსეთის სტატისტიკოსთა ყრილობის, ხოლო მეორე საერთაშორისო სტატისტიკურ ბიუროს სახელზე.

ამხ. კუხალეიშვილი კითხულობს საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებულ აღმასრულებელ კომისიის დებულებას, რაც უცვლელად იქნა მიღებული ყრილობის მიერ.

ყრილობის მიერვე არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომისია შემდეგ შემადგენლობით: მ. ყოჩიაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ლ. კარბელაშვილი, ი. ვარძიელი და გ. გრიგორიანი ცენტრიდან, ხოლო პროვინციებიდან ის. კუხალეიშვილი, ა. საყვარელიძე, თურქია და კოლესნიკოვი.

დასასრულ, სტატისტიკოსთა ყრილობის მიერ დასახელებულ იქნა მმართველის თანამდებობაზე გ. გრიგორიანი, რომელსაც ყრილობა ოვაციებს უმართავს.

თავმჯდომარე მოკლე სიტყვით მიმართავს რა ამხ. გრიგორიანს და აღნიშნავს მის თავდადებულ და ნაყოფიერ მუშაობას სტატისტიკის დარგში.

ამხ. გრიგორიანს მიმართავს აგრეთვე მოკლე სიტყვით ამხ. კარბელაშვილი. საპასუხო სიტყვაში ამხ. გრიგორიანი აღნიშნავს რა ყველა იმ ზომებს, გაღებულ ენერგიას იმ ახალი გზის ძიებისათვის, რომელსაც დაადგა იგი უკანასკნელად, ამბობს: მე დღეს დავრწმუნდი, რომ ჩემ მიერ არჩეული გზა სწორია და მიზნის დამაახლოვებელიც ღრმად მწამს, რომ მალე დადგება ის დრო, როცა სახელმწიფო სტატისტიკა ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობილი მაღლა იტყვის თავის მაღალ სიტყვას. მე კი განმეორებით ფიცსა ვდებ თქვენს წინაშე, რომ სანამ შეძლება მექნება, არ დავიშურო ძალა და ღონე ამ საერთო საქმის განსამტკიცებლად და ასაყვავებლად".

თავმჯდომარის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველ ყრილობის უკანასკნელი სხდომა იხურება დღის 3 საათზე.

ამავე დროს საღამოს 6 საათზე შესდგა აღმასრულებელ კომისიის სხდომა. პრეზიდიუმში შემდეგი პირნი იქნენ არჩეულნი: თავმჯდომარედ დ. კარიჭაშვილი, ამხანაგებად ის. კუხალეიშვილი და ლ. კარბელაშვილი, ხოლო მდივნად მ. ყოჩიაშვილი.

ზ. გალ—ი.

სასოფლო მეურნეობა

კახელ მევენახეთა პირველი ყრილობა

კვირას, 19 ნოემბერს, კახეთის ცენტრში, გურჯაანში შესდგა კახელ მევენახეთა პირველი ყრილობა.

როგორც ვიცით, მევენახეობა კახეთში მეურნეობის ერთი უპირველესი დარგთაგანია. მევენახეობა ბუნებით მდიდარ კახეთის მშრომელ გლეხკაცობისათვის შეადგენს არსებობის მთავარ წყაროს.

ამ უკანასკნელ წლებში—ვენახები ძლიერ სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდო ფილოქსერამ. დღევანდლამდის მას ებრძოდა კახეთის გლეხკაცობა ცალ ცალკე, შეუკავშირებლად, ცოდნას მოკლებული, რაც ვერ იძლეოდა სასურველ შედეგს და ვენახის განადგურება ძლიერდებოდა. აი ამიტომ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ ამ საკითხის მცოდნე სპეციალისტების ინიციატივით შესდგა საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც მოიწვია ეს ყრილობა.

დელეგატთა რიცხვი ყრილობაზე აღემატებოდა 200 კაცს. გარეშე პირებიც მრავლად დაესწრენ. ახლად აშენებულ, გურჯაანის საკმაო დიდ თეატრის დარბაზში, ყრილობით დაინტერესებული მრავალი გლეხკაცობა ვერ თავსდებოდა და გარედ, დარბაზის ირგვლივ მრავლად გროვდებოდა.

საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულნი იქნენ სპეციალურ ამ ყრილობაზე ჩამოსული ამხ. ფილიპე მახარაძე და სილვა თოდრია.

დარბაზი ფილიპეს მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა, როგორც მუშურ-გლეხურ მთავრობის წარმომადგენელს და საერთოდ მშრომელთა ცნობილ ბელადს.

თავმჯდომარე აძლევს პირველ მისასალმებელ სიტყვას ამხ. ფილიპე მახარაძეს.

ამხ. ფილიპეს სიტყვა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! პირველად მოგესალმებით მხურვალედ მუშურ-გლეხური, თქვენი საბჭოთა ხელისუფლების სახელით. უნდა მოგახსენოთ, რომ მეურნეობის აღორძინების საქმისათვის მოწვეულ ამგვარ ყრილობას პირველად ვესწრები... აქ არიან წარმომადგენილნი მშრომელი გლეხკაცობის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მშრომელი გლეხკაცობა ფართედ ჩაუბამს ყველგან, სახელმწიფოს ყველა დარგში სააღმშენებლო საქმეში. ამ ყრილობას დღეს მიზნად დაუსახავს ვენახის განმანადგურებელი ფილოქსერის წინააღმდეგ ზომების გამომუშავება. აქ მე ვხედავ მრავალ სპეციალისტებს, რომლებიც თქვენ უნდა გამოიყენოთ ამ საქმეში. ყოველივე ეს მე მეუბნება, რომ თქვენში გაღვიძებულია თვითმოქმედება, რომ თქვენ შეგიგნიათ გაერთიანება, შეკავშირებული ძალით ჩაბმა თქვენ საკეთილდღეო მუშაობაში. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ გადადგმული.

ამას გარდა მე მივაქცევ, ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან მხარეს; მე მოგახსენებთ იმ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაზე, რომელმაც თქვენ მოგცათ საშუალება ასე ფართეთ დაგეყენებიათ თვითმოქმედება. ჩვენ ხომ ვიცით, ამხანაგებო, რომ წინად,—არც ნიკოლოზის და არც მენშევიკების დროს, ასეთ საქმეებისათვის არ იკრიბებოდით; ამისათვის თქვენ არც უფლება და არც საშუალება გქონდათ. ეს ყრილობა, ამხანაგებო, შედეგია მუშურ-გლეხური ხელისუფლების არსებობისა.

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენ თქვენთან ბრწყინვალეთ ვიდღესასწაულეთ ამ ხელისუფლების არსებობის 5 წლის თავი. შემდეგ ამხ. ფილიპე შეეხო აქა-იქ შემამულე თავადების ჯიუტობას, რომლებიც არ იხრიან ქედს, არ ურიგდებიან ბედს, ამაოთ განაგრძობენ ბრძოლას კვლავ მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ სხვა და სხვა სახით. ამხ. ფილიპე დიდხანს შეჩერდა გლეხების ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობაზე. აღნიშნა მონობის დრო, ჩაგვრა, რომელსაც მშრომელი, გაძვალტყავებული გლეხობა განიცდიდა მემამულეებისა და თავადებისაგან.

მან მიუთითა ყრილობას დღევანდელ ხანაზე და ხაზგასმით აღნიშნა თუ რა არის ეხლა და რა კეთდება ამ მხრივ დღეს; როგორი იყო ორი წლის წინად მდგომარეობა და როგორი გახდა ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს: ამხ. ფილიპემ მიუთითა ცოცხალ მაგალითებზე, როგორიც არის: მიწების გადაცემა უმიწო მშრომელ გლეხკაცობაზე, რკინის გზების და მინდვრების მოსარწყავ არხების გაყვანა, გზების გაკეთება სამეურნეო პრაქტიკული სკოლების დაარსება, ბოსტნების მოშენება, სათესლეების დარიგება, ხელის შეწყობა მინდვრების თესვაზე და მრავალი სხვა. თუ ამას თქვენ არ დააფასებთ განაგრძო მან არ იხელმძღვანელებთ ყოველივე იმით, რაც მე შიშველი ფაქტებით მოგითხრეთ არას დროს მკვიდრ ნიადაგზე თქვენი საქმე არ დადგება, ვერას დროს სასურველ შედეგს თქვენი ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცების საქმეში ვერ მიაღწევთ.

შემდეგ ამხ. ფილიპე შეეხო კახეთის მიდამოებში მოთარეშე, თავადებიდან და „მსუქანი" გლეხებიდან შემდგარ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდებს, მენშევიკებისა და ნაციონალ დემოკრატების ხელმძღვანელობით და სთქვა: ჩვენ ვიცით, ჩვენ არ გვეპარება მხედველობიდან, რომ არიან დღესაც—მუშურ-გლეხური ხელისუფლების ბატონობის დროს—მოუსვენარი, მიმალული მტრები, მეოცნებენი, დაკარგული ბატონობას უკან აღდგენის მსურველნი რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მშრომელ გლეხკაცობას. ჩვენ ეს ვიცით ამხანაგებო და ამიტომ ვაწარმოებთ მათთან თქვენის შემწეობით სასტიკ, დაუნდობელ ბრძოლას.

შემდეგ ამხ. ფილიპე შეჩერდა საბჭოთა აღმშენებლობის პროცესში შემჩნეულ დეფექტებზე, და ამბობს: განა ჩვენ არ ვიცით, რომ ჩვენს მუშურ-გლეხურ მმართველობას მრავალი ნაკლულევანება აქვს, მრავალი მუშაკები საბჭოსი არა სდგანან თავიანთი მოვალეობის სიმაღლეზე, ისინი, ხშირად, შენების ნაცვლად, შეგნებით თუ შეუგნებლობით ანგრევენ აპარატებს, სცემენ მუშურ-გლეხური მთავრობის პრესტიჟს. ვიცით, ამხანაგებო, მაგრამ პირველ ხანებში ეს ჩვენ არ გვაკვირვებს და არც გვაშინებს, არც თქვენ უნდა გაგიტეხოს ამან გული... განა, ამხანაგებო, ჩვენ გვასწავლიდა ვინმე, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს? განა ჩვენ გვქონდა მაგალითი წარსულში ვინმესგან, რომ გადმოგვეღო და გვეხელმძღვანელა მით? ჩვენ ეხლა გვიხდება, ერთ და იმავე დროს შენებაც და სწავლაც და აი მუშაობა-სწავლის პროცესში ჩვენ არ შეგვიძლია არ შევცდეთ, ჩვენ არ შეგვიძლია დეფექტები არ დაუშვათ მაგრამ ეს როგორც მტრებს, ისე ჩვენს მოყვრებს საბაბს არ აძლევს სთქვან, რომ სულ ასე დარჩება გამოუსწორებლივ ეს დეფექტები, რომ ამ პრაქტიკის საფუძველზე ჩვენ ვერ შევისწავლით კარგად სახელმწიფოს შენებას. განა თვით თქვენი ყრილობა, თქვენი შეკავშირება არ არის მაჩვენებელი იმისი, რომ მძიმე მდგომარეობიდან გამოვდივართ. დღევანდლამდის თქვენი მეურნეობის გამგენი იყვნენ მხოლოდ და თავადები და მემამულეები, რომლებიც მშრომელ გლეხკაცობის ეკონომიურად აღორძინებაში ოდნავ არ იყვნენ დაინტერესებულნი, პირიქით ისინი როგორც კლასობრივი მტრები აკეთებდენ თავიანთ საქმეს თქვენდა სავნებელად; ეხლა კი, ამ ყრილობის შედეგი იქნება მრავალი სამეურნეო სკოლების გახსნა სოფლად, თქვენი მუშურ-გლეხური მთავრობის შემწეობა-დახმარებით იმ სკოლების, რომლებიც მოგცემთ თქვენ სპეციალისტს—მშრომელ გლეხებს,—ნაცვლად სპეციალისტ-თავადებისა.... ეს ყრილობა საფუძველია ამხანაგებო თქვენი შემდეგი განვითარებისათვის დასასრულ ამხ. ფილიპე უსურვებს ყრილობას წარმატებითი მუშაობას მეურნეობის გასაუმჯობესებლათ მეურნეობის სხვა დარგებიც.

ამხ. ფილიპეს სიტყვა დაფარულ იქნა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით.

ხ. თალაკვაძე.

(დასასრული იქნება)

კოოპერაცია

მუშათა კოოპერაცია რაჭის მაზრაში

სრულიად საქართველოს მთლიან მუშათა კოოპერატივების კონფერენციის რაჭის დელეგატმა ამხ. ბაქრაძემ „კავროსტას" თანამშრომელს მიაწოდა შემდეგი ცნობები მაზრაში მეურნეობის მდგომარეობის შესახებ:

მთლიანი მუშათა კოოპერატივის მოქმედება.

მუშათა კოოპერატივი ონში დაარსდა მიმდინარე წლის თებერვალში და დაარსებისთანავე მიიღო ფაქტიურად საქონლით და ფულით სასურსათო კომისარიატისაგან მხოლოდ 22,337,000 მანეთი. მაგრამ ამ თანხითაც კოოპერატივმა ფართე მუშაობას მოკიდა ხელი და დაიწყო სამეურნეო ინიციატივის გამოჩენა.

როგორც ვიცით, რაჭის გლეხები ყოველთვის მიდიოდენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში სამუშაოდ, მაგრამ, შარშან მოუსავლობის გამო, ამან უფრო ფართე ხასიათი მიიღო და აუარებელი გლეხი წავიდა სამეგრელოში და კახეთში.

მუშაობისათვის ისინი იღებდნენ ნატურით-სიმინდს. კახეთიდან და სამეგრელოდან ამ სიმინდის რაჭაში შემოტანა იკისრა მუშათა მთლიან კოოპერატივმა, რომელიც გასამჯელოდ იღებდა გადმოტანილ სიმინდის 2—4 პროც. და გადატანის ყოველგვარ ხარჯს თვითონ კისრულობდა.

ამ ოპერაციისაგან კოოპერატივს დარჩა 700 ფუთი სიმინდი ფრანკო ონი, რომლის ღირებულება უდრიდა 225 მილიონ მანეთს. როდესაც თვითონ გლეხები კისრულობდნენ თვისი სიმინდის გადატანას, ეს მათ ძალიან ძვირად უჯდებოდა. მეორე ოპერაცია, რომელმაც მისცა კოოპერატივს 70 მილ. მანეთი იყო სასურსათო გადასახადის აკრეფა და მაზრაში ულუფების განაწილება მუშებზე და მოსამსახურეებზე. შემდეგ მუშათა კოოპერატივმა იკისრა გადაზიდვა, მიღება და დარიგება სიმინდის, რომელიც გაცემული იყო საქ. დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის მიერ რაჭის მაზრის დამშეულ მცხოვრებლებზე.

ამრიგად სულ დარიგებულ იქნა 15 ვაგონი სიმინდი. შიმშილობის გამო პურზე ფასის აწევასთან ბრძოლის მიზნით მუშათა კოოპერატივმა გახსნა თავისი ფურნე და შეისყიდა ერთი ვაგონი ავსტრალიის პურის ფქვილი. მაშინ როდესაც ბაზარზე გირვანქა პური იყიდებოდა 20,000 მანეთად, კოოპერატივი თავის წევრებს და ღარიბ მცხოვრებლებს აწვდიდა 8,000 მ. გირვანქა პურს. ეს საქმე დღესაც გრძელდება და მკვიდრ ნიადაგზე არის დაყენებული. კოოპერატივს აქვს ჯერ ჯერობით 4 თვის საყოფი პურის ფქვილის მარაგი. ამრიგად, პურის ფასს ახალ მოსავლამდე ადგილობრივ ბაზარზე აწესებდეს იქნება კოოპერატივი.

კოოპერატივმა მოაწყო სასადილო, რომელიც შემდეგში გადასცა არტელს და თვითონ დაიტოვა მხოლოდ კონტროლის უფლება. სასადილოში სადილი ორი კერძით და პურით ღირს 80,000 მანეთი, ჭიქა ჩაი შაქრით—5,000 მ. კოოპერატივის მუშაობა განსაზღვრულ პირობებშია ჩაყენებული, რადგანაც იგი იმყოფება რკინის გზიდან 108 ვერსის მანძილზე. ზაფხულში ტვირთის გადაზიდვა ურმებით ღირს 50,000—60,000 მანეთი ფუთი; ზამთარში კი 100,000 მანეთი და მეტი. ფაქტიურად დეკემბრიდან მარტამდე რაჭაში საქონლის ყოველგვარი შემოზიდვა შეწყვეტილია. ამის გამო კოოპერატივს ყოველგვარი საქონლის დამზადება უხდება შემოდგომის თვეებში. დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ ნავთის მონოპოლია მოექცა არა მუშათა კოოპერატივს, არამედ სამოქალაქო კოოპერაციის ხელში. მუშათი კოოპერატივმა ძლივს შესძლო მიეღო ნავთი თავის წევრებისათვის ცენტრიდან უშუალოდ.

ახლა მუშათა კოოპერატივი ყიდის თავის წევრებზე გირვანქა ნავთს 12.000 მანეთად და კოოპერატივი—მონოპოლისტი კი ყიდის 15.000 მანეთად.

სამოქალაქო კოოპერატივები ქალაქში და სოფლებში ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი ყოველთვის კრიზისს განიცდიან, მათ არასდროს არ აქვთ არც ფული, არც საქონელი. სამოქალაქო კოოპერატივების წევრთა საერთო კრებებზე სოფლებში გამოაქვთ დადგენილებები ასეთ კოოპერატივების დაკეტვის და მუშათა კოოპერატივის განყოფილებების გახსნის შესახებ. მაგრამ მუშათა კოოპერატივი ერთის მხრივ საჭირო საშუალებათა უქონლობის გამო და მეორე მხრივ იმის გამო, რომ მან არ იცის თუ რა ხაზს დაადგეს ასეთ შემთხვევაში, იგი არ აკმაყოფილებს შუამდგომლობებს განყოფილებების გახსნის შესახებ.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი. 27 ნოემბერი. საზღვარ გარეთელი ვალიუტის არა ოფიციალური კურსი 25 ნოემბრისთვის იყო: სტერლინგი — 1.300.000—1.380 000 მან. ფრანგული ფრანკი—18.000—18.500 მან; იტალიური ლირა ბაზარზე არ მოიპოვება. ოსმალური ქაღალდის ლირა—164.000—166.000 მან დოლარი—280.000—290.000, გერმანული მარკაზე მოთხოვნილება არაა. ოქროს ათმანეთიანი—1.650.000—1.660 000, ოქროს ლირა—1.300.000—1.310.000. 22 წლის რუსეთის ფულის ნიშანი 1 მან —125—130.

ბათუმის ბირჟა.

ბათუმი. 24 ნოემბერი. სტერლინგი—1,245,000 მან., ფრანგული ფრანკი—18,000. იტალიური ლირა—10,000 მან., ოსმალური ქაღალდის ლირა—162, 00, დოლარი—280,000. ოქროს ათმანეთიანი—1,570,000. ოქროს ლირა—1,140,000 მან.

მიწის ახალი კანონის გატარება

ახალციხის, ბორჩალოს და ტფილისის მაზრების მიწათ მომწყობთა ცნობების თანახმად ამ ჟამად მიწად მოწყობის სფეროში სწარმოებს შემდეგი მუშაობა:

— **ახალციხის მაზრა.** მაზრაში მომუშავე 2 ტეხნიკოს მიწის ზომლები ოქტომბერში მუშაობდენ სოფ. ხოთში, სახუდაბელში, (?) ონმარში, ხავაშენში და ბენარაში საერთო სივრცით 1883 დესიატინაზე. კატეგორიის მიხედვით მიწების დანაწილების დროს იყო 1565 ნაჭერი სივრცით 460 დესიატინა. უმიწაწყლო და მცირემიწის მქონეთათვის დასარიგებლად ჩამორთმეულია 105 ნაჭერი, წინანდელ მესაკუთრეებს ნორმის ანგარიშში დარჩათ 208 ნაჭერი. სივრცით 128 დესიატინამდე. კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის გადადებულია 12 ნაჭერი, სივრცით 38 ნახ. დესიატინა.

— **ბორჩალოს მაზრა.** ამ ჟამად 2 მიწათ მომწყობის ხელმძღვანელობით დამთავრებულია მიწად მოწყობა 14 სოფელში, გამიჯნულია 243 ნაჭერი, სივრცით 3375 დესიატინა. უმიწო წყლო და მცირე მიწის მქონეთათვის დასარიგებლად ჩამორთმეულია 12 ნაჭერი, წინანდელ მესაკუთრეებს ნორმის ანგარიშში დარჩათ 119 ნაჭერი, სივრცით 3487 დესიატინა. კულტურულ განმანათლებელი მიზნებისათვის გადადებულია 9 ნაჭერი, სივრცით 33 დესიატინა.

ტფილისის მაზრა. ამ ჟამად მაზრაში მიწადმოქმედების სამუშაო დამთავრებულია სართიჭალის, მარტყოფის, გომბორის და საგარეჯოს რაიონებში სოფ. საგარეჯოს გამოკლებით.

მანგლისის, ასურეთის, წალკის, აბბულახის და დღლომის რაიონებში მუშაობა გრძელდება და წარმატებით მიმდინარეობს.

ავჭალის და ყარაიაზის რაიონებში რეფორმის გატარებას ჯერჯერობით აფერხებს ტეხნიკურ მომუშავეთა სიმცირე; რეფორმას მცხოვრებლები ყველა მაზრებში დიდის თანაგრძნობით ხვდებიან.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **ყოფილ მანთაშევის წისქვილი.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, დაამტკიცოს ხარჯთ აღრიცხვა ყოფილ მანთაშევის წისქვილის, რისთვისაც წინადადება მიეცა საფინანსო განყოფილებას, ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ფულის გაცემა აწარმოოს საერთო წესის დაურღვევლად.

— **სარაიონო მილიციის ბინების შეკეთება.** პრეზიდიუმმა დაადგინა, დაევალოს სააღმშენებლო განყოფილებას ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა სარაიონო მილიციის ბინების შეკეთებისათვის.

განათლების კომისარიატში.

— **საბავშო სახლების რიცხვი:** ტფილისში საბავშო სახლები არის 9; კერა—საბავშო—2; საბავშო ბაღები—19.

— **სასკოლო ასაკამდე აღზრდის მსმენელთა კურსების სასწავლო გეგმა.** სოც.-აღზრდის მთავარ მმართველობამ შეიმუშავა სასკოლო ასაკამდე აღზრდის კურსების მსმენელთა სასწავლო გეგმა (6 თვის კურსი) შემდეგი სახით: 1) საბჭოთა აღმშენებლობა, 2) პოლიტიკური ეკონომია, 3) სოც. სწავლის ისტორია, 4) საერთო პსიხოლოგია და ბავშვის პსიხოლოგია, 5) პედაგოგიური იდეის ისტორია და საერთო პედაგოგიკა, 6) ფრებელის სისტემა, 7) მონტესორის სისტემა, 8) შრომის სკოლა, 9) ესტეტიური აღზრდა, 10) დღევანდელი საბავშო ბაღების თეორია, 11) ფიზიკური აღზრდა და ტანთვარჯიშობა, 12) ბუნება საბავშო ბაღებში, 13) მუსაიფის და გადაცემის გაკვეთილი, 14) მუსიკა და სიმღერა საბავშო ბაღებში და სკოლებში, 15) ხატვის და ჩამოსხმის მეთოდიკა, 16) ხელსაქმე და შრომის პროცესები, 17) წერა კითხვის და ანგარიშის სწავლება, 18) ბავშვების ლიტერატურა, 19) მცირე-წლოვანების მოვლა და დახმარების მიწოდება, 20) დეფექტიურ ხასიათის ბავშვების მეცადინეობის მეთოდები, საერთოდ მეცადინეობა განსაზღვრული 610 საათით, მათ შორის სალექციო სისტემისათვის 312 საათი და პრაქტიკულ მეცადინეობისათვის 218 საათი.

— **ბავშვების განაწილება პროვინციებში.** ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად გაიხსნა 3 საბავშო დაწესებულება კოჯორში—კალონია, სადაც უკვე გაიგზავნა 30 ბავში, დუშეთში—სახლი, სადაც უკვე გაიგზავნა 25 ბავში და ბორჩალოში ჩითახის ქარხნის სახელობის სახლში—10 ბავში.

— **შუამდგომლობა.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობამ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა კოჯორში სუმბათოვის აგარაკის გადმოცემის შესახებ ბავშთა მეორე სამეურნეო სკოლის მოსაწყობად.

სხვა და სხვა.

✦ **რესპუბლიკის საბაჟოები.** ამიერ-კავკასიის საბაჟოების მთავარ მმართველობამ წინადადება მისცა ყველა საბაჟოებს საქართველოში, მიაწოდონ ცნობები მთავარ სტატისტიკურ ბიუროს შემდეგი სახით: საქონლის შემოტანის შესახებ საზღვარგარეთიდან, რაოდენობა საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონლის შინაურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, საზღვარ-გარეთ გაზიდული საქონლის რაოდენობა, საზღვარ-გარეთიდან შემოსულ და გასულ გემთა რიცხვი, მოძრაობა სავაჭრო-საზღვაო გემებისა, მცირე რაოდენობის საქონლის გატანისა და შემოტანის შესახებ და სხვ.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„ცხვრის წყარო". რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

კვირა, 26 ნოემბერი.

ქართული თეატრი, ქართველი მსახიობი—დღემდის ჩვენ ფიქცია, უსახო ანარეკლი გვეგონა ამ სიტყვების; იმედიც კი დავკარგეთ ქართულ თეატრის გაჯანსაღებაზე და მის მომავალსაც სკეპტიკურათ უყურებდით, თითქმის დავეჭვდით ქართული შემოქმედებითი ინტელექტზე ამ დარგში. უფრო მეტი: მის გადასარჩენათ ლაპარაკი მოსაბეზრებელი შეიქნა და სეზონის შეწყვეტის აზრიც კი დაიბადა; მაგრამ გამოჩნდა მესია (ეს არ არის გაპერბოლა) რომელმაც ეს მოსალოდნელი და ნახევრათ ფაქტათ ქცეული სირცხვილი ააშორა ქართულ თეატრს, რომელმაც აშკარა გახადა არა თუ ამ ფიქრის უსაფუძვლობა, არამედ შექმნა პერსპექტივები უფრო მეტი შესაძლებლობის ფართე მასშტაბით და საძირკველი ჩაუყარა ეპოქალურ ინტერესს თეატრისადმი. პირადათ მე არ მინდა დავბრმავდე ნახულით, მაგრამ ბოროტება იქნებოდა ისიც, რომ სხვანაირი კრიტერიუმით დავეხასიათებია მოხდარი ფაქტი. ეს მესია, ახალი თეატრის არის რუსეთში ცნობილი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, რომლის რეჟისორობით ორჯელ ზედიზედ (შაბათს 25 და კვირას 26 ნოემბერს) ორივეჯერ უამრავი აუდიტორიით წარმოდგენილი იქნა ესპანელ მწერლის ლოპე დევეგას ორიგინალური პიესა „ცხვრის წყარო", (ფუენტე ოვე ხუნა)

ნაწილი ხალხით გაჭედილი დარბაზის სუნთქვაშეკრული ელის ახალ სამყაროში გადასვლას, უმრავლესობა კი ცნობის მოყვარეობით მოსული უგულოთ მიჩერებია რამპას. გაისმა სამი ხმა ზარის და ფარდა, უცნაურ სფინქსათ ქცეული და [illegible] ამგვარივე საიდუმლოების, [illegible] ფრთებივით [illegible] და... გამოჩნდა ლილისფერი სამხირი მთვარით ოდნავ შუქ დაკრული: სანახაობა მოლოდინს აჭარბებს, მსახიობების გამოცნობა ძნელდება—ყველა მოქმედნი ისე არიან გარდაქმნილნი და თავის პირვანდელ თავს დაშორებულნი, გაკვირვებას იწვევს მათი მოძრაობის რიტმი და ტაქტი—უჩვეულო ჩვენი სცენისათვის. უფრო ცხოველდება ინტერესი მასიური სცენის თანამწყობრითი მოქმედებით, ანსამბლი—ეს ყოველთვის დისონანსი ყოველ წარმოდგენაში, საოცარი ორგანიული კავშირით მიყვება პიესის ხერხს. შეუჩერებელი მოქმედება, არც ერთი წამი მოძრაობის გარეშე, არსად ჰარმონიის დარღვევა, არც სუფლიორი... და ასე ბოლომდის. უკანასკნელი მოქმედება უფრო საინტერესო ხდება. აქ არის უაღრესი დინამიურობა მთელი პიესის, სადაც მასიური ამბოხი ამ კუთხის დამპყრობელის წინააღმდეგ („ცხვრის წყარო" სოფელია) რევოლიუციონურ ხასიათს ღებულობს, რომელიც თამარ ჭავჭავაძის საოცარი პათოსით და ჟესტიკულიაციით, შურის აღმძვრელი და ხმალზე უფრო მჭრელი სიტყვით აბობოქრებული ზღვასავით ძლიერდება. საერთოდ ასეთი შესრულება ქართულ სცენას არ უნახავს და ამ სასწაულისათვის ჩვენ გვინდა მივესალმოთ მსახიობებს: თამარ ჭავჭავაძეს, ელ. დონაურს, ტასო აბაშიძეს, ალ. იმედაშვილს, გ. დავითაშვილს, აკაკი ვასაძეს, გვარამაძეს, დავით ჩხეიძეს, უშანგი ჩხეიძეს, კორიშელს, ლამბაშიძეს, ლორთქიფანიძეს, ყველას, მთელ ანსამბლს, რომლებმაც ასეთი შესაძლებლობისა და ენერგიის გამოჩენით საშუალება მისცეს რეჟისორ მარჯანიშვილს ასეთი გარდატეხა და ვიტყვი, რევოლიუცია მოეხდინა ქართული თეატრის ცხოვრებაში და გადაერჩინა დაღუპვას ის.

წარმოდგენის პირველ დღეს ხალხმა ოვაციები გაუმართა მარჯანიშვილს, მიართვეს საჩუქრები, ყვავილები. მსახიობებს მარჯანიშვილი ხელით გამოყავთ სცენაზე, რომელსაც მეორე იარუსიდან მხურვალე სიტყვით მიმართავს და ესალმება პოეტი პაოლო იაშვილი, ესალმებიან მსახიობებიც ალსავსე სიყვარულით. ამგვარივე ენტუზიაზმით და ოვაციებით ხვდებიან მას მეორე წარმოდგენაზე, და ხალხი იშლება ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ და იმედით, რომ გვაქვს თეატრი და გვყავს მსახიობები.

რ. ვ.

— **სუმბათაშვილი იუჟინის ჩამოსვლა.** 25 ნოემბერს ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი მსახიობი სუმბათაშვილი იუჟინი, რომლის იუბილე გაიმართება ახლო მომავალში, სხვათა შორის იუბილეს დღეს წარმოდგენილი იქნება მისი პიესა „ღალატი".

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სამშაბათს 28 ნოემბერს „სევილიელი დალაქი", მონ პოპოვა, კავსაძე, ინაშვილი, შარაშიძე.

— **ნიცშეს საღამო.** დღეს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართება ნიცშეს საღამო. ნიცშეზე სიტყვებს იტყვიან: კონსტ. გამსახურდია და ირაკლი ტატიშვილი. ნიცშეს ლექსებს და ადგილებს ზარატუსტრიდან წაიკითხავენ: არისტო ჭუმბაძე, ტერენტი გრანელი, ს. ფაშალიშვილი, დემნა შენგელაია, კ. გამსახურდია.

— **„ოქტომბრის რევოლიუციის" სახელობის სომეხთა ცენტრალურ მუშათა კლუბის გახსნა.** ხუთშაბათს 23 ნოემბერს, მოხდა სადღესასწაულო გახსნა სომეხ-მუშათა ცენტრალურ კლუბის „ოქტომბრის რევოლიუციის" სახელწოდებით. მისასალმებელ სიტყვით ქართულ ენაზე გამოვიდა ამხ. მარქაროვი და რუსულ ენაზე—ამხ. ებიგოვი, აგრეთვე მოსმენილ იქნა მილოცვები, რის შემდეგ ამხ. რაქდენ კალაძემ დამსწრეთ გააცნო პროლეტარულ ხელოვნების მნიშვნელობა. კობახიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესა „რევოლიუციის ტალღებში", დასასრულ პოლეტარულ პოეტების მიერ წაკითხულ იქნა რევოლიუციონური ლექსები.

✦ **დრამატიული სტუდიის ლატარიის გათამაშება.** განათლების კომისარიატის ნებართვით, თანახმად გამთამაშებელ კომისიის დადგენილებისა დრამატიულ სტუდიის ლატარიის გათამაშება მოხდება კვირას, დეკემბრის ათს, რუსთაველის თეატრის შენობაში, საშუადღევოს 2 საათზე. გათამაშებაზე დასწრება შეუძლიან ყველა მოქალაქეს. გათამაშების გადადება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჭიათურიდან, რომელთანაც მიმოსვლა შეწყვეტილია გზის გაფუჭების გამო, ბილეთების ანგარიში არ არის მიღებული, ისე კი გათამაშება შეუძლებლად სცნო კომისიამ და ჭიათურიდან ანგარიშების მისაღებათ მიღებულია საგანგებო ზომები.

დღეს თეატრებში.

—სახელმწიფო ოპერა—სევილიელი დალაქი—პოპოვას, დობროვანსკის, კავსაძის, ინაშვილის და შარაშიძის მონ წ. რუსთაველის თეატრი—რუსული წარმოდგენა. სახალხო სახლი—რუსული წარმოდგენა „სამშობლო". მუშათა ცენტრალური კლუბი—რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ზუგდიდის მაზრა.

ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, თუ რა მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი კოოპერაცია, როდესაც მას მეტად სუსტი ცენტრი აქვს, ასეთ პირობებში მყოფი კოოპერაცია, მოკლებულია ყოველგვარ იმედს დახმარებისა და მიექანება დაღუპვისაკენ.

ასეთ მდგომარეობას განიცდის დღემდე ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონული კოოპერატივთა კავშირი. მას არავითარ დახმარებას არ უწევს მისი ცენტრი „ცეკავშირი", ვინაიდან უკანასკნელს არა აქვს არავითარი საშუალება. მიუხედავად ამისა, ზუგდიდის კავშირის გამგეობა შეეცადა სხვა წყაროების გამონახვას და [illegible] შეუდგა უკვე მიხურულ კოოპერატივების აღდგენას მაზრაში. დღემდე მაზრაში უკვე აღდგენილია 60 ზე მეტი კოოპერატივი, რომლებიც, ასე თუ ისე მოქმედებენ 1921 წ. 19—21 ივნისიდან დღემდე; კავშირის გამგეობა შესდგება ჩვენი ამხანაგებისაგან. გამგეობის მუშაობა კავშირში დადებითია, მან გააკეთა ის, რაც მას ჰქონდა დასახული წლის ბოლომდე გასაკეთებლად. გამგეობის მუშაობა ენერგიული და ნაყოფიერია, ამას ადასტურებს ის, რომ წლიური კრება მოკავშირე კოოპერატივებისა ერთხმათ მადლობას უცხადებს და ერთხმათვე ირჩევს ახალ გამგეობაში 23—25 სექტემბერს 1922 წ. რწმუნებულთა მორიგ კრებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რა დახმარებით სარგებლობდა კავშირის გამგეობა და ვინ უწევდა მას დახმარებას მის საქმიანობაში. ცენტრიდან სასურსათო კომისარიატი და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელი ამხანაგები. პირველი—საქონლის ნისიად მიწოდებით და უკანასკნელი კი ფულების სესხად გაღებით. აი ვინ მეგობრობდა ჩვენს ორგანიზაციას და ეხმარებოდა.

მუშათა ცხოვრება

ტფილისის რკ. გზის დეპო.

დეპოში შრომის ნაყოფიერებამ ან უკანასკნელ ხანებში ძალიან აიწია. ეს აიხსნება იმით, რომ მუშებს თავის საწარმოო მოვალეობა კარგათ აქვთ შეგნებული. მუშაობა იზრდება მიუხედავათ იმისა, რომ ზოგჯერ მასალის კრიზისი გვაქვს. ადმინისტრაციასთან მუშებს და ადგილკომს კარგი დამოკიდებულება აქვს. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციაც თავის მდგომარეობის სიმაღლეზე სდგას.

დეპოსთან მოწყობილია მშვენიერი აუდიტორია. მუშაობის გათავების შემდეგ აქ ხდება კომიაჩეიკის და სხვათა კრებები. აქვე სისტემატიურათ მეცადინეობს კ. ა. კომიტეტის პოლიტიკურ განმანათლებელი წრე. გვაქვს აგრეთვე დეპოსთან კარგათ მოწყობილი იაფფასიანი სასადილო და საპარიკმახერო. ერთიც და მეორეც დიდ სამსახურს გვიწევს მუშებს და გვანთავისუფლებს რესტორანის მეპატრონეთა ექსპლოატაციისაგან. აქვეა საყინულე, თუმცა დაუდევრობის გამო წელს ზაფხულში არ მუშაობდა. ახლა აკეთებენ და სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. აბანოც არის, ახლა მას რემონტი უკეთდება რემონტი ამ დღეებში დასრულდება.

ბ. მ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონის განყოფილება

ამ განყოფილებაში შედის ექვსი ქარხანა-სახელოსნო. მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი ყველა ქარხნებში არის 409. შრომის დაცვის კანონებს ყველგან დიდი ყურადღება ექცევა. ზოგიერთ ქარხნებში ცალკე შრომის დაცვის განყოფილებაც კი არსებობს. მატერიალურათ მუშები არ იმყოფებიან მაინც და მაინც ცუდ პირობებში. მათ მდგომარეობას თან და თან გაუმჯობესება ეტყობა. ქარხნებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სამუშაო შენობები სრული და სინათლიანია. ყველაფერში წესრიგი სუფევს. მუშებს ტანისამოსი შემოცვეთილიათ, მაგრამ ამ დაკონკილ ტანისამოსსაც სისუფთავის ხელი ამჩნევია. საექიმო დახმარება ძლიერ კარგათ არის მოწყობილი.

ქარხანა-სახელოსნოებთან არსებობს ამბულატორია. ავათმყოფობის დროს წამალი უფასოთ ეძლევათ. სპეც-ტანისამოსის საქმე ვერ არის მოგვარებული. მუშათა დიდი უმრავლესობა მოკლებულია მას. თუმცა დღე-დღეზე პირდებიან, მაგრამ ზამთრის სუსხმა უკვე მიარაკუნა ქარხნის კედლებს და სპეც-ტანისამოსი ჯერაც არ მოუღიათ. კულტ მუშაობა ძლიერ კარგათ მიმდინარეობს. ხშირ-ხშირათ იმართება კრებები, რომელშიდაც მუშები აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

მეთვალყურე.

ლითონის განყოფილების სამმართველო.

სამმართველოში მუშაობს 71 კაცი, შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან: ტეხნიკური, მომარაგების და საფინანსო-საანგარიშო განყოფილება. მუშები იმყოფებიან კოლექტიურ ხელშეკრულებაში მელითონეთა კავშირთან. ხელშეკრულებამ გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ძლიერ გაჩაღებულია ამ დარგის მუშებ შორის. არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო შკოლა. ამ შკოლით სარგებლობენ სხვა მახლობელი ქარხნების მუშებიც. შკოლაში იმყოფება ორი მასწავლებელი, რომელთა მატერიალური მხარე შედარებით კარგია. მეცადინეობა სწარმოებს 3-5 საათამდის. სამწუხაროთ, შკოლის შენობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. შკოლას არ აქვს შეშები, ზამთარში ასეთ შენობაში მეცადინეობა შეუძლებელი იქნება. საჭიროა ამას ყურადღებას მიაქცევდეს სამმართველოს ადგილკომი და მუშებს დროზედ ჩასვამდეს. მეცადინეობის დროს მუშებს ჩვეულებრივზე ნახევარი გირვანქა პური მეტი ეძლევათ. გაზეთის საქმე ვერ არის მოწესრიგებული. თუმცა სამკითხველო არსებობს, მაგრამ არც ერთი გაზეთი არ მიდის. შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გასატარებლათ არსებობს განსაკუთრებული განყოფილება.

აქაური.

ავტო-სახელოსნო № 1

ეს სახელოსნო შედის ლითონის განყოფილებაში. სახელოსნო ეწევა ავტომობილების რემონტს. მუშათა რიცხვი არის 79. მათ მატერიალურ მხარეს არა უშავს, წინანდელთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესებულია. არსებობს ადგილკომი, რომელიც თვალყურს ადევნებს მას, მის დაცვას კანონების ცხოვრებაში გატარებას და ზრუნავს მუშების მატერიალურ მდგომარეობაზე. ამ მხრივ მისი მოღვაწეობა დაუფასებელია. სპეც ტანისამოსები არა აქვთ, რაც ბადებს სიბინძურეს. წარმოების ხასიათი ისეთია, რომ სისუფთავის დაცვა ძნელია. ამისათვის აუცილებლად საჭიროა სპეც ტანისამოსი. ყოველ დღე პირდებიან: აი დღეს მოგცემთ და აი ხვალო, მაგრამ დღეები გადის და ტანისამოსის მიღებას კი ვერ ეღირსენ. კულტ-მუშაობა ძლიერ კარგათ არის დაყენებული. იმართება კრებები, იკითხება მოხსენებები. გაზეთების საქმე კი ვერ არის კარგათ. გაზეთები არ მოდის. ზოგიერთ მუშებს თავიანთ ხარჯზე უხდებათ გამოწერა. კარგი იქნება, კავშირი ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და სამკითხველოს გაზეთებს გამოუწერდეს. საექიმო დახმარება ძლიერ კარგათ აქვთ მოწესრიგებული. საბჭოთა აფთიაქებიდან უფასოთ იღებენ წამლებს. აქვთ აგრეთვე კბილის საექიმო კაბინეტი.

ახალი.

მექანიკური და ლითონის ჩამოსასხმელი ქარხანა.

ეს ქარხანა მდებარეობს პლეხანოვის პროსპექტზე. ქარხანა კერძო ამხანაგობის არის. მუშაობს 2 მუშა. მათში კლასიური შეგნება ძლიერ სუსტია. ისინი ყურმოჭრილ მონად გამხდარან თავიანთ ხაზეინებისა. რასაც ხაზეინები ჩასძახებენ, იმას აკეთებენ, შრომის დაცვის კანონებზე წარმოდგენაც არა აქვთ. მათ არ იციან რა არის ნორმალური სამუშაო დღე. სამუშაო შენობა ძლიერ ცუდია. ფანჯრები დამსხვრეულია და ქარი თავისუფლად დაქრის შიგ. ზამთარში ასეთ შენობაში მუშაობა ყოვლად წარმოუდგენელი იქნება. ტანისამოსის მხრივაც მუშები სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან. სიტყვა საწარმოვო ტანისამოსი თავის დღეშიც არ გაუგონიათ. ჩაცმულნი არიან ძალიან ცუდათ. დაცვეთილ ტანისამოსზედ ემატება ჭუჭყი. მუშები იმყოფებიან ღვთის ანაბარად. არა აქვთ არც საექიმო დახმარება. გონებრივი განვითარება მათთვის ხომ ზედმეტი გამხდარა. საჭიროა ხაზეინების თავგასულობას ბოლო მოეღოს. მუშების განვითარებას მეტი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არის და ვიხსნათ მუშები იმ „შეხმატკბილებულ" განწყობილებიდან, რომელიც დღეს დამყარებულია ხაზეინსა და მუშებს შორის.

კ. ნ.

ბორჯომი

ბორჯომის მინერალურ წყლების მართველობა ვერ ეპყრობა მუშებს შესაფერისად. არის შემთხვევები და ხშირადაც, როდესაც მამულების გამგე შეურაცხყოფას აყენებს მუშებს და ემუქრება შტატის შემოკლებით. ამ ნიადაგზე ბევრ გაუგებრობასა და უკმაყოფილებას აქვს ადგილი. ძალიან ცუდათ არის ჯამაგირების მიღების საქმე. აგერ მესამე თვეა, ჯამაგირი თვალით არ გვინახავს. ჩვენი მდგომარეობა აუტანელია. საჭიროა ს. პ. კ. ს. ყურადღებას მოგვაქცევდეს და გამოგზავნიდეს თავის წარმომადგენელს საქმის ადგილობრივად გამოსაძიებლად.

ბორჯომელი.

ქუთაისი

ქუთაისის სადგურში რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ინტერესები ხშირად იჩაგრება იმის გამო, რომ ადმინისტრატიულ პირებს ძალიან უყვართ თვითნებობა და მუშათა ორგანიზაციების დაუკითხავად ახდენენ „განკარგულებებს". ამის მაგალითი მრავალია. დავასახელებ რამდენიმეს. ამას წინათ დაითხოვეს მე 3 კომანდის მცველი. ბრალათ დასდეს ლოთობა. ამ შემთხვევაში დაეყრდნენ მხოლოდ დათხოვნილის პირად მტრების ჩვენებას. საქმეში ჩაერია პროფესიონალური კავშირი. კავშირმა მოახდინა გამოძიება. ამ საქმეზე დაკითხა 33 მუშა. აღმოჩნდა, რომ დათხოვნილი მართალია და არავითარ ლოთობაში მას ბრალი არ ედება. კავშირმა ამის გამო დამთხოვნელს მიქაძეს განუცხადა პროტესტი. მაგრამ ვაჟბატონმა მიქაძემ ქედიც არ შეიხარა და ცინიკურად განაცხადა „მე უფლება მაქვს დათხოვნისა და ამ უფლებას არავის არ გაუზიარებო". ამ ვაჟბატონმა უნდა იცოდეს, რომ მუშათა ორგანიზაციებსაც აქვს კანტროლისა და დათხოვნის უფლება. ეს უფლება უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე ადმინისტრატიულ პირისა.

აქვე არსებობს შემფასებელ საკონფლიქტო კომისია. კომისიის დადგენილებანი არც ერთი ცხოვრებაში არ ტარდება. მიზეზი იგივე ადმინისტრატორების თვითნებობაა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავიანთ მუშაობა მოქმედებაში არავის ანგარიშს არ უწევენ და თავი ისე მოაქვთ როგორც სპარსეთის გენერალ გუბერნატორებს. ვინაიდან დაბლიდან ზედმოქმედება მათზე არ მოქმედებს, საჭიროა მაღლიდან იქონიებდენ მათზე ზედმოქმედებას.

რკინისგზელი.

გამგეობა ახალი საოპერაციო წლის მუშაობით ცდილობდა ყრილობის მუშაობაზე დამყარებულ ნდობის და იმედების გამართლებას.

გამგეობა ხელმეორედ მიმართავს თავის მეგობრებს დახმარებისათვის, ამხ. ერქომაიშვილს და ტოროშელიძეს და მიუხედავათ ზოგიერთი დაბრკოლებებისა ორივე ცენტრის მოწინავე ამხანაგები გვაძლევენ დიდ დახმარებას საქონელის ნისიად მოცემით. ეს ძალიან დიდი საქმეა ჩვენი კოოპერაციისათვის.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის დაბრკოლებები, რომელიც გვეღობება ჩვენს საქმიანობაში. სანამ სასურსათო კომისარიატი 600 ფუთ მატყლს მოგვცემდა და ხელშეკრულება იწერებოდა, შემოდის ვიღაც არამკითხე მოამბე და დანიშნულ კომისიაში და ავრცელებს ჩვენზე შემდეგ პროვოკაციას: „ზუგდიდის კავშირი თითქოს არ არსებობს, მას მართებს დიდძალი ვალები, რომლის გადახდა არ შეუძლია. კავშირის გამგეობა იძულებულია თვით ლიკვიდაცია მოახდინოს თუმცა საამისო საშუალებაც არა აქვს. მასზე ირიცხება კოოპერატივი „ვარსკვლავის" 50 მილ. მანეთი, რომლის გადახდა ვერ მოახერხა გამგეობამ დღემდე"-ო.

პროვოკაციის ავტორს უნდოდა, უნდობილება გამოეცხადებინა სახ. კომისარიატს ჩვენთვის და არ მოეცა საქონლით დახმარება. მიუხედავათ ამისა, ჩვენ კომისარიატიდან გვეძლევა საშუალება მივიღოთ ოროსი ფუთი მატყლი, რომელსაც ვგზავნით ქ. ზუგდიდში ოკტომბრის ბოლო რიცხვებში.

მეორე დაბრკოლება გამოიხატება შემდეგში: „მწყემსის" გამგეობა მეტად გულცივად ხვდება სასურსათო კომისარიატის განკარგულებას მატყლის გაცემაზე. იქ ჩვენ გვიხდება 4—5 დღე წაღმა-უკუღმა ტრიალი, ხან კომისარიატთან, ხან „მწყემსთან" და ბოლოს კი გვაწვდიან მატყლს.

ჩვენ გვაქვს ნიმუში კომისარიატიდან და, რასაკვირველია, ვირჩევთ პირველი ხარისხის მატყლს „მწყემსის" საწყობში „დობასის" ჯიშისას.

მაგრამ რას ვხედავთ აქ?

გვაჩვენებენ კარგს და გვიგზავნიან უვარგისს! ვინაიდან სახ. კომისარიატის ხარჯზე იგზავნება მატყლი და მატყლის ჩაწყობა „მწყემსის" მიერ წარმოებს, აქ თურმე როგორც მოესურვებათ, ისე შობიან.

ზუგდიდის კავშირი ღებულობს შეცვლილ უბრალო ჯიშის მატყლს საუკეთესო ჯიშის ნაცვლად.

საქონელი ბაზარზე არ გადის ან თავისი ღირებულებას კარგავს და ამავე დროს ღუპავს მთელ ოპერაციას, რითაც უნდა გაგვემართლებინა სახ. კომისარიატისათვის ხელშეკრულება. ასეთ მოქმედებას თუ რა სარჩული უდევს, მე ვერ ვიტყვი. მხოლოდ ვიტყვი ორივე შემთხვევებზე, რომ კავშირის გამგეობა ამ დაბრკოლებებსაც გადალახავს და საკუთარი საშუალებით გაანაღდებს კომისარიატთან დაპირებას თავის დროზე. მხოლოდ მკითხველთა საყურადღებოთ ვიტყვი შემდეგს: ზუგდიდის კავშირი იმდენად ძლიერია, რომ ასეთი არამკითხე მოამბის პროვოკაციას, მატყლის შეცვლას, და უფრო მეტ მოწინააღმდეგესაც გაუმკლავდება და პასუხს გასცემს შესაფერისად.

ზუგდიდის კავშირს აქვს თავისი საკუთარი შენობები ღირებული საშუალოდ 2—მილიარდად, 2) ქვითა წყლის აგურ კრამიტის და სახერხავი მანქანა თავისი 4 შენობებით რომლის ღირებულება უდრის საშუალოდ 3—4 მილიარდს და 3) შაქგონის ქარხანა, ღირებული 2—3 მილიარდი მანეთ. ამასთან კავშირის მართებს მოკავშირე კოოპერატივებს შემდეგი:

1) სიმინდი—7 ათას ფუთზე მეტი, 2) თხილი—600 ფუთამდე, 3) ფულად 500—600 მილიონამდე და მასვე საკუთარი საწყობში აქვს სხვა და სხვა საქონელი, ღირებული 600—700 მილიონად. აქედან მე ის გამომყავს, რომ კავშირი არ არის სალიკვიდაციო მდგომარეობაში და ნურც ერთი არამკითხე მოამბეები ნუ გამოდიან პროვოკაციის გასავრცელებლად, თორემ კავშირის გამგეობა იძულებული იქნება მათი საწინააღმდეგოთ გამოვიდეს ოფიციალურად საბუთით ხელში და მაშინ ვნახოთ, თუ ვინ მოყვება ლიკვიდაციაში. კავშირის გამგეობა თხოვს ცენტრის ამხანაგებს და დაწესებულებებს შემდეგში მოთხოვოს სეპარატიულად გამოსულ ზოგიერთ კოოპერატორებს საბუთი კავშირის მიერ მათზე გაცემული სეპარატიულად გამოსვლაზე და შემდეგ ელაპარაკონ მათ, როგორც ოფიციალურ პირებს. ჩვენი აზრით, ასეთი არანორმალური, სეპარატიული გამოსვლა შლის და ანგრევს კოოპერაციის მთლიანობას. ამასთან ზოგიერთები კოოპერატივის სახელით სარგებლობენ თავიანთი ჯიბის გასასქელებლად. ამიტომ საჭიროა ყოველგვარი საოპერაციო საქმეებზე საქმის დაჭერა პირადათ კავშირთან, რომელიც აერთიანებს მაზრაში 60 მეტ კოოპერატივს. ეს იქნება მიზანშეწონილი და ამის შემდეგ არავის მიეცემა უკანტროლო უპასუხისმგებლო თარეშის უფლება კოოპერატიულ ოჯახში. კავშირის გამგეობა დაიმედოვნებულია, რომ ამას მიექცევა სათანადო ყურადღება. ამ წერილის ავტორი თუ საჭირო იქნა გამოაშკარავებს ცრუ მოამბის სახეს და აგრეთვე უვარგის მატყლის ნიმუშს და სათანადო აქტსაც. დასასრულ გამგეობა მადლობას უცხადებს კოოპერაციის მეგობრებს, ამხ. ტოროშელიძეს და ერქომაიშვილს კეთილ განწყობილებისა და დახმარებისათვის და აცხადებს, რომ დაკისრებული ვალდებულებანი თავის დროზე იქნება პირნათლად შესრულებული.

ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. მეუნარგია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 59.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო, სცნობს რა, რომ „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" სასპორტო საზოგადოებათა მოღვაწეობა არ შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს მიზანსა და მისწრაფებას, ადგენს:

საზოგადოებანი „შევარდენი", „სკაუტი" და „სოკოლი" დაშლილ იქნეს ყველგან საქართველოში.

2. მოწყობილ იქნეს,—საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტთან და ყველა ადგილობრივ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობით, — საზოგადოება „სპარტაკი".

საზოგადოება „სპარტაკის" ორგანიზაციისა და მთლად მისი მუშაობისა, აგრეთვე ყველა მისი განყოფილების მუშაობისათვის ადგილობრივ,—სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს „სპარტაკის" პროგრამის დროებითი წესდება, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

3. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა მთელი ქონება, აგრეთვე ყოველი სადგომი, რომელიც მათ ხელშია, გადადის „სპარტაკის" საზოგადოების სარგებლობაში.

4. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა ლიკვიდაციისათვის მოწყობილ იქნეს: ცენტრალური კომისია, რომელშიაც უნდა შევიდნენ: საქართ. კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სოც. საბჭოს რესპ. საყოველთაო სამხედრო სწავლების უფროსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და, სათათბირო ხმით, „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა წარმომადგენელნი ხოლო ადგილობრივ სამაზრო კომისიები, რომელშიაც უნდა შევიდნენ საქართ. კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო კომიტეტის მდივანი, სამაზრო სამხედრო კომისარი, სამაზრო პროფესიონალური ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი, სახალხო განათლების წარმომადგენელი და, სათათბირო ხმით „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" ადგილობრივ განყოფილებათა ხელმძღვანელნი.

5. „შევარდენისა", „სკაუტისა" და „სოკოლის" საზოგადოებათა ყველა წევრს ასაკით 14 წლამდი—შეუძლიან დარჩეს „სპარტაკის" საზოგადოების წევრად, ხოლო წევრი ასაკით 14 დან 16 წლამდე შეიძლება მიღებულ იქნეს „სპარტაკის" საზოგადოებაში ამ საზოგადოების მომწყობ კომისიების მიერ „სპარტაკის" საზოგადოებაში წევრების მიღება უნდა სწარმოებდეს „სპარტაკის" საზოგადოების წესდების თანახმად.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
შ. ორახელაშვილი.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.
1922 წ. ნოემბერი 23.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 28 ნოემბერს, სამშაბათს საღამოს 6 საათზე საქართველოს კ. პ. ტფილისის კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ. № 22) შესდგება ა. თალაკვაძის მარქსისტული წრის კრება ქართულ ენაზე.

— 29 ნოემბერს, ოთხშაბათს დღის 12 საათზე ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე დანიშნულია „ქუჩის ბავშთა სახლის" მომწყობ ცენტრალური კომისიის სხდომა

სხდომაზე მიწვეულია ყველა წევრები და შიმშილობის შედეგებთანმებრძოლის ოკა"-ს წარმომადგენელნი.

— 2-ე რაიკომი აცნობებს ყველა ქვემოდ დასახელებულ საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2 ე რაიონის ამხ. წევრებს და კანდიდატებს—ვართანოვ მარიამს, ბომრიშევი ივანეს, იბრაგიმოვი ნადირის, შარაბიძე ალექსანდრეს, ეჯიშვილი ალექსანდრეს, კრავეიშვილი ივანეს, მელიქიან ასტხიკის საყურადღებოთ, რომ 29 ნოემბერს დღის 12 საათზე რაიკომის ბინაზე დაიწყება ერთეულების გაწმენდა. ყველა დასახელებული ამხანაგები, რომელნიც უნდა გატარდენ გაწმენდაში, როგორც ერთეულები, ვალდებულნი არიან აღნიშნულ ვადაზე გამოცხადდენ რაიკომში. ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან, პარტიიდან მექანიკურად გაირიცხებიან

კომისიის მდივანი ნაზაროვი.

განცხადებები

დღეს, 28 ნოემბერს

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

სევილიელი — — დალაქი

ხუთშაბათს, 30 ნოემბერს

პიკის ქალი

დასაწყისი ზუსტ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

კრ. 643—1—1

ამხანაგობა
„ხორც-პროდუქტი"
აცნობებს ყველას, რომ ამხანაგობის მთავარი კანტორა და გამგეობა
გადავიდა სასახლის ქუჩ. № 6 მესამე სართ. ტელ. № 9—84. სადაც უნდა მიმართონ ამხანაგობის საქმეებისათვის.

გამგეობა.

კრ. 644—3—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის
უმაღლესი საბჭოს
სათბობი მასალის განყოფილება

აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს (როგორც რიგის მიხედვით, ისე რიგ გარეშე მომხმარებლებს) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ ყველა სახის სათბობ მასალის და ნავთის პროდუქტის გაცემა განყოფილების საწყობიდან ხდება მხოლოდ ნდობის ბარათით სათბობი მასალის მიღების უფლებაზე, ან იმ პირთათვის, რომელთა სახელზე გამოწერილია ორდერი, ამიტომ ყველამ ვინც წარადგენს განყოფილებაში მოთხოვნილებას სათბობი მასალის მიღების შესახებ, ან უნდა მისცენ თავიანთ წარმომადგენლებს ნდობის ბარათი მიღებისათვის, ან და მოთხოვნილებაში აღნიშნონ მიმღების გვარი.

სათბობი მასალის განყოფილების გამგე: ბორკონ.
საქმეთა მმართველი: მირიტაძე.

581—2—1

ამიერ-კავკას. ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო
აცხადებს,

რომ 1922 წლის 10 დეკემბერს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვოგზალის ქუჩა სახლი № 1) დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

1923 წლის პირველ იანვრიდან იჯარით გასაცემათ:

პირველ კლასის ბუფეტების

შემდეგ სადგურებზე:

აქსტაფაში, განჯაში, ევლახში, უჯარში, კიურდამირში, აჯიკაბულში, ბაქოს, ხაჩმასში,

მესამე კლასის ბუფეტების გასაცემათ

შემდეგ სადგურებზე:

სალოღლში, აქსტაფაში, ტაუზში, ძეგამში, დოლიარში, შამხორში, განჯაში, დელ მამეტში, ევლახში, ლიაკში, კიურდამირში, საგირში, აჯიკაბულში, ნავაგში, ბალაჯარში, ბაქოს, ბაქო-საბუნჩინსკაიაში, საბუნჩიში, იალამაში, ყიზილ ბურუნში, ხაჩმასში, ხუდატში, სუმგაიტში, დივიჩში, კაიაგენტში, მამედ კალაში, მიუსიუსში.

სავაჭრო ფარდულების სადგურებზე:

აქსტაფაში, ტაუზში, ძეგამში, დოლიარში, განჯაში №№ 1, 2, 3, 4, 5, 6 და 8 | IV, დელ-მამეტლში, ევლახში №№ 1, 2 და 3, ლიაკში, უჯარში, კიურდამირში, საგირში, აჯიკაბულში №№ 1 და 2, სანგაჩალში, ეიბატში, ბალაჯარაში №№ 1 და 2, ბაქოს №№ 1 და 2, ჩაიანაიში, ბაქო-საბუნჩისკაიაში, საბუნჩიში, იალამაში, ხაჩმასში, შამხორში.

საპირფარეშოების სადგურებზე:

აქსტაფაში, განჯაში, ევლახში, ბაქოს, ბაქო-საბუნჩინსკაიაში, საბუნჩიში, ხაჩმასში.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა კეთილ ინებონ და თავიანთი განცხადებანი დახურულ კონვერტებით ჩაუშვან საბჭოს დარბაზის კარებთან მოწყობილ სპეციალურ ყუთში. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა:

„ბუფეტების, ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემ საჯარო ვაჭრობისათვის".

ხოლო განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, სახელდობრ რომელ ამ წარმოების აღებას ფიქრობს მსურველი და რა საიჯარო ქირას იძლევა წლიურად ოქროს მანეთებით. განცხადებასთან უნდა იქნეს დართული:

1) ქვითარი განზრახული ქირის არა ნაკლებ 10 პროც. გირაოს შეტანის შესახებ. 2) წარმოდგენილ განცხადებებზე უნდა იქნას დაკრული საღერბო მარკა. იჯარით გაცემის დროს გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებით, რომელსაც მოითხოვს რკინის გზის მეურნეობის ინტერესები.

3) ის პირნი, რომელთაც იჯარით იქვთ აღებული ბუფეტები, ფარდულები, საპირფარეშოები და რომელთაც სრულიად არ წარმოუდგენიათ საიჯარო გადასახადი ა | წ 1 დეკემბრამდე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას კარგავენ.

ყოველგვარი ცნობები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე, გარდა კვირა უქმეებისა, რკინის გზათა სამმართველოში. თბილისში (ვოგზალის ქ., № 1 ოთახი № 64).

5—3 საკომერციო ნაწილის უფროსი—თუხარელი.

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში და
ვამზადებ პიროვნით მოზრდილთ

საერთო განათ. კურსებზე, ტეხნიკუმში 1, 2, 3 კლასში შესასვლელად, ბავშვებს შრომის სკოლის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 ჯგუფ და მოწმობაზე. პლეხანოვის ქ. 25, შესავალი (ალექსის ქუჩიდან). 571—4—2)

საკონსულტაციო
სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის გ. დ. ხანცინის

ბავშვების მიღება ყოველ-დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე დღ. ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტერნის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—14)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—9)

დავკარგე წიგნაკი მუშათა ძალის აღრიცხვის განყოფილებიდან მოცემული მოანგარიშის და მემანქანის ცნობით იზი (ელენე) ტყაბაძის სახელობაზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 583—1—1

დაიკარგა უმუშევრობის წიგნაკი, მოცემული შრომის ბირჟიდან ელენე ხაყვარელიძის (ქართველიშვილის) სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 582—1—1

ტირ. 12 333 [illegible] მე-9 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4